№ 139

1877—1905

ოთხშაბათი, 10 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 139

ოთხშაბათი, 10 აგვისტო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციას აზრად აქვს სეზონის დაწყებამდე გამართოს

გამოსაცდელი წარმოდგენა

რათა გააფართოვოს სცენის მოყვარულთა წრე, ამიტომ სთხოვს იმ პირთ, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობის მიღებისა, მობრძანდნენ ავჭალის აუდიტორიაში, ხუთშაბათს, 11 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე. (2—2).

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მას მიეცა „ღალატის" ავტორისა და აგრეთვე მის მთარგმნელებისაგან (გ. ყიფშიძე და კ. მესხი). განსაკუთრებული უფლება ამ პიესის სცენაზე წარმოდგენისა. ამიტომ დრამ. საზ. გამგ. ნებადაურთველად სხვა ვისგანმე „ღალატის" სცენაზე დადგმა აკრძალულია.

ახალი წიგნი —

ეროვნული ენა

თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.

იყიდება შემდეგ ადგილებში:

ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება".
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა", ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია".
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ზაზანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვების.

ა. ჰ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

ჰ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზის (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ახალი დაწესებულება რუსეთში

გუშინდელ ნომერში ყველა წაიკითხავდა, უთუოდ, ტელეგრამით გადმოცემულ დაწვრილებით ცნობებს „ხალხის წარმომადგენელთა" ორგანოს ანუ „სახელმწიფო სათათბიროს" *) შესახებ, რომელიც 6 ამ თვეს ოფიციალურად გამოცხადდა მოსკოვსა და პეტერბურგშიაც.

რუსეთ-იაპონიის ომმა და უკანასკნელ წლებ-ს შინაურმა ამბებმა აშკარად დაუმტკიცეს ყველას, რომ გაბატონებული ბიუროკრატია ხალხის კეთილდღეობისთვის მავნებელია და რომ აუცილებლად საჭიროა ახალ წყობილების შექმნა, — ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენელთა მოწვევა. .

ამ ცვლილების აუცილებლობა თვით უმაღლესმა მთავრობამაც აღიარა.. ამიტომ ბულიგინის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია დაარსდა, რომელსაც უნდა შეედგინა ხალხის წარმომადგენლობის ახალი პროექტი...

ხსენებულ პროექტის შესახებ რუსულ გაზეთებში აქა-იქ იბეჭდებოდა ცნობები, თუმცა ჯერ არავინ იცოდა, თუ საბოლოოდ რა სახეს მიიღებდა პროექტი. საზოგადოდ კი მთელი რუსეთის საზოგადოება ამ შემთხვევაში ორ ბანაკად გაიყო.

საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელსაც „გრაჟდანინი" ლიბერალებს ეძახის, ამტკიცებდა, რომ პროექტი რუსეთის ძირითად კანონებს უნდა შეეხოს, რომ ხალხის წარმომადგენლებს საკანონმდებლო უფლება უნდა ჰქონდესო მინიჭებული, რომ არ შეიძლება ხალხის დამშვიდება, ბიუროკრატიის-მიერ წახდენილ საქმეების გამობრუნება, თუ ხალხს არ მიენიჭა უფლება— სახელმწიფო საქმეები თავის ნებაზე განაგოს.

თვით „გრაჟდანინი" კი, სხვა მის თანამოაზრე გაზეთებთან ერთად, აცხადებდა, არავითარი წარმომადგენლები არ არის საჭირო—რუსეთისთვისო.

ამ ორმა ძალამ,—განახლების მოტრფიალემ და განახლების მოწინააღმდეგემ,—ერთმანეთში საზოგადო პოლემიკა გამართა: განახლების მოტრფიალენი მხოლოდ ცარიელ წარმომადგენლობასაც არ სჯერდებოდნენ და ითხოვდნენ, რომ წარმომადგენლების არჩევა იყოს საყოველთაო, პირდაპირ და საიდუმლო კენჭის ყრაზე დამყარებული, რომ გამოცხადდეს სიტყვის, პრესსის, კრების თავისუფლება, პიროვნების და კერძო სადგომების ხელუხლებლობა, რომ შემოიღეს რუსეთში ყველა ის წესი, რომელიც უკვე შემოსული და ფესვ-მოკიდებულია ევროპის ყველა სახელმწიფოში; ამტკიცებდნენ, რომ ხალხში ამ წესების შემოუღებლობა ხალხის დაჩაგვრას უდრის, მის დამონებას, მაზე ახალ ბიუროკრატიის გაბატონებას.

მაგრამ განახლების მოწინააღმდეგენი, არსებულ რეჟიმის მომხრე ელემენტები აცხადებდნენ, —ხალხის გაბატონება რუსეთის ძირითად კანონებს ეწინააღმდეგება და ამიტომ სასურველიც არ არისო..

ბულიგინის კომისია კი ამ დროს თავის პროექტის შემუშავებას ასრულებდა და ახლა ეს პროექტი, შეცვლილი და სახელმწიფო საბჭოში ხელახლად შემუშავებული, კანონად იქცა და გამოცხადდა ოფიციალურად... ეს არის ზემოხსენებული ახალი კანონი...

ამ კანონის ძალით შემოღებული ახალი დაწესებულება, „სახელმწიფო სათათბირო", რასაკვირველია, სწორედ ისეთია, როგორიც მოსალოდნელი იყო იმ პირობებსა და გარემოებაში, რომელშიაც დაწყებულ იქმნა მისი შემუშავება.

ახალი კანონი და ახალი დაწესებულება „უცვლელად სტოვებს რუსეთის ძირითად კანონს თვითპყრობელობის შესახებ" და მით სახელმწიფოს არსებულ წესწყობილებაში არავითარი ძირითადი ცვლილება არ შეაქვს. სათათბიროში შესვლისათანავე წარმომადგენლები ფიცს სდებენ, რომ ერთგულად ემსახურებიან თვითპყრობელ მეფეს და თვითპყრობელობის პრინციპს არ უღალატებენ. ხალხის წარმომადგენლებს აკრძალული აქვთ ისეთი მსჯელობა და „წესის დარღვევა", რომელიც რუსეთში გაბატონებულ თვითპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული იქნება.

ხალხისაგან ამორჩეულ წარმომადგენლებს არავითარი საკანონმდებლო უფლება არა აქვთ მინიჭებული. სახელმწიფო საბჭოს მხოლოდ მოთათბირე დაწესებულების ხასიათი ეძლევა... მართლაც, სათათბიროში შემუშავებული ყოველი კანონ-პროექტი მინისტრთა საბჭოში გადადის განსახილველად და თუ მინისტრი კანონ-პროექტის წინააღმდეგი შეიქმნა, უფლება აქვს იგი უყურადღებოდ დასტოვოს.

სათათბიროს სხდომები ფარულია, არა საჯარო, —თავმჯდომარეს შეუძლია მხოლოდ პრესსის წარმომადგენლები შეუშვას დარბაზში იმ პირობით კი, რომ მათი ანგარიშები თვითონ უნდა გადაიკითხოს და მოიწონოს,—მისგან თუ არ იქმნა მოწონებული ანგარიში, გაზეთებში ვერ დაიბეჭდება.

მინისტრები ხალხის წარმომადგენლებისგან სრულებით დამოუკიდებელნი არიან: მათ აქვთ უფლება თვითონ დაესწრნენ სათათბირო სხდომებს და, თუ მოისურვებენ, შეუძლიანთ წარმომადგენელთა შეკითხვაზე არავითარი პასუხი არ გასცენ და წარმომადგენლებს საქმის შესახები განმარტება არ მისცენ. მინისტრებს შეუძლიანთ მოითხოვონ...საქმის საიდუმლოდ გარჩევა.

წარმომადგენელთა არჩევაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, ვისაც ამ კანონში აღნიშნული ცენზი აქვს, —საზოგადოების, შედარებით, შეძლებულ ნაწილს. გაზეთების გამოანგარიშებით, ქ. მოსკოვში, მაგ., სადაც მილიონზე მეტი მცხოვრები არის,—კენჭი მხოლოდ 12 ათას კაცს ექმნება მინიჭებული,—დანარჩენ ხალხს ცენზისთვის, კენჭისათვის საკმარისი ქონება არა აქვთ.

ხალხის წარმომადგენელთა შესახები ახალი კანონი შეეხება შიდა-რუსეთს და კავკასიის მხოლოდ ორ ქალაქს,—ბაქოსა და ტფილისს,—კავკასიის შესახებ განსაკუთრებული წესი უნდა შეიმუშაოს სოლსკის მეთაურობით ახლად დაარსებულმა კომისიამ...

ამ დაწესებულების შესახებ მანიფესტში პირდაპირ სწერია, რომ მას კიდევ „შეცვლა და შესწორება სჭირია"...

სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ახალ განკარგულების გამო

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ მომავალ ენკენისთვიდან კავკასიის სახალხო სკოლებში, თანახმად უმაღლეს მთავრობის განკარგულებისა, სწავლება სამშობლო ენაზე იქმნება შემოღებული. ამ განკარგულების შესაფერად სისრულეში მოსაყვანად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს საჭიროდ დაუნახავს სახალხო სკოლების ინსპექტორებმა და დირექტორებმა ახლავე განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

სახალხო სკოლები რაიონებად უნდა დაიყოს იმის მიხედვით, თუ რომელი რაიონის მკვიდრთა ენა უფრო კარგად იცის სახალხო სკოლების ამა თუ იმ ინსპექტორმა. თუ რომელიმე ინსპექტორმა **საკმაოდ არ იცის ადგილობრივ მკვიდრთა ენა, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ამ ენის შესწავლას.** სკოლების დათვალიერების დროს, ინსპექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამშობლო ენის სწავლების მეთოდს, შესწავლილ მასალის თვისებას და რაოდენობას და სხვ. რადგან ყოვლად შეუძლებელია, რომ რაიონის ინსპექტორმა იცოდეს ყველა ადგილობრივი ენები, ამიტომ საჭიროა ასეთს ინსპექტორს რევიზიის დროს თან ახლდეს ადგილობრივი ენების მცოდნე, გამოცდილი მასწავლებელი, **რომელიც დახმარებას უნდა უწევდეს რევიზორს პირველ დაწყებით სწავლების უკეთ მოწყობის საქმეში.** სკოლების დათვალიერების დროს, სახალხო სკოლების ინსპექტორს ევალება ყოველ კერძო შემთხვევაში მოიწვიოს ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელნი და გამართოს მათთან საუბარი სკოლის საუკეთესოდ მოწყობის შესახებ. ამ წარმომადგენლების მოსაზრებანი დაწვრილებით შეტანილ უნდა იქმნას სარევიზიო ანგარიშში იმ აზრით, რომ მზრუნველს მიეცეს შეძლება შემდეგისათვის სათანადო განკარგულება მოახდინოს. გაძლიერებულ უნდა იქმნას ყველა ის ღონისძიებანი, რომელთა საშუალებითაც შესაძლოა ადგილობრივ ენების მცოდნე მასწავლებლების მომზადება. ამიტომ მომავალი მასწავლებლები უნდა იგზავნებოდნენ არა მარტო სამოსწავლო სემინარიებში, არამედ სამოქალაქო სასწავლებლებთან არსებულ ერთის წლის კურსებზედაც. ერთ კლასიან სახალხო სასწავლებლებში უნდა განწესდეს ორი მასწავლებელი და თითოეულ თვალსაჩინო ცენტრში უნდა დაარსებულ იქმნას ორკლასიანი სასწავლებელი.

ბოლოს მზრუნველი წინადადებას აძლევს სახალხო სკოლების დირექტორებს და ინსპექტორებს, რომ თითოეულ სახალხო სკოლისათვის უნდა დაარსდეს სამზრუნველოები, რომლებიც, მზრუნველის აზრით, მეტად ხელს შეუწყობენ დასახელებულ სკოლების განვითარების საქმეს. ამ სამზრუნველოების ორგანიზაციის საზოგადო დებულებანი მზრუნველს უკვე შეუმუშავებია და დირექტორებისა და ინსპექტორებისათვის კიდევაც დაუგზავნია.

აი, ყველა ის ღონისძიებანი, რომელნიც სამოსწავლო ოლქის მზრუნველს საკეთილოდ მიუჩნევია, რომ მომავალ ენკენისთვიდანვე სახალხო სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლება წესიერად სწარმოებდეს.

ჩვენ გვგონია, რომ აქ ჩამოთვლილი ღონისძიებანი არ კმარა სახალხო სკოლებში სწავლების კარგად მოსაწყობად და გამოცხადებულ მიზნის მისაღწევად.

მზრუნველის პირველი განკარგულება, რომ სახალხო სკოლის ინსპექტორებმა სასწავლებლები დაიყონ ადგილობრივ მკვიდრთა ენის ცოდნის მიხედვით, ჩვენს სახალხო სკოლებს ვერას შემატებს.

ამჟამად არავისათვის დაფარული არაა, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის თითქმის არც ერთი სახალხო სკოლის ინსპექტორი არ მოიძებნება, რომელმაც ადგილობრივი ენები იცოდეს, რადგან დღემდის მოხსენებულ თანამდებობაზე ყოველთვის რუსსა ნიშნავდენ. ადგილობრივ ენების უცოდინარ ინსპექტორებს მზრუნველი წინადადებას აძლევს, დაუყოვნებლივ შეუდექით ამ ენების სწავლასო. მაგრამ, ჩვენის აზრით, ვერც ეს ღონისძიება გამოიღებს შესაფერს ნაყოფს. სკოლების რევიზია, საზოგადოდ, რთული საქმეა და განსაკუთრებით კი პირველ-დაწყებითი სკოლებისა. თუ რევიზორს კარგად არა აქვს შეთვისებული ის ენა, რომელზედაც სწარმოებს სწავლა სასწავლებელში, ყოვლად შეუძლებელი საქმეა, მან ღირსეული ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ სასწავლებელს. გამოცდილმა და თვით საქმის მცოდნე რევიზორმა ღირსეულად უნდა უწინამძღვროს როგორც მასწავლებლებს, ისე მოწაფეებსაც თავისი პედაგოგიური გამოცდილებით, რჩევით და სამაგალითო გაკვეთილების მიცემით. მარტოოდენ გაკვეთილების მოსმენა და შაბლონურ სარევიზიო ანგარიშის შედგენა, როგორც ამას აქამომდე სჩადიოდნენ, რევიზორობას სრულიად არ მოასწავებს.

ამიტომ მზრუნველის განკარგულება უფრო ნაყოფიერი და შედეგიანი იქმნებოდა, რომ სახალხო სკოლების ინსპექტორად ახლავე ადგილობრივ ენების უკვე კარგად მცოდნენი მოეწვიათ, თორემ სანამ აწინდელი ინსპექტორები ადგილობრივს ენებს შეისწავლიან, ვინ იცის, მანამდის, საქმის უცოდინარობის გამო, რამდენი უსამართლობა მოხდება ჩვენებურს, უამისოდაც მრავალ წამებულ, სახალხო სკოლებში.

მზრუნველის განკარგულება, რომ ინსპექტორებმა სკოლების დათვალიერების დროს, მიაქციონ ყურადღება ნასწავლ მასალის თვისებას და რაოდენობას და ადგილობრივ მკვიდრთა წარმომადგენლებს ესაუბრონ და სხ. კარგი ღონისძიებაა და საინტერესო ისაა, რომ ეს უბრალო ღონისძიება მხოლოდ ახლა აღმოუჩენიათ... ამით პირდაპირ არის აღიარებული, რომ ასეთ უბრალო მოვალეობასაც არ ასრულებდენ წინანდელი ინსპექტორები...

მზრუნველის განკარგულება მასწავლებლის მომზადების შესახებაც უნაყოფო და უშედეგო საშუალებად მიგვაჩნია. სახალხო სკოლის მასწავლებლებმა ადგილობრივი ენები უნდა იცოდნენ კარგად, რასაც თვით მზრუნველიც საჭიროდა სთვლის. მხოლოდ საკითხი ისაა, თუ სად უნდა შეისწავლოს მომავალმა მასწავლებელმა ეს ადგილობრივი ენები. მზრუნველი სულ ადვილად სწყვეტავს ამ საქმეს:— სამასწავლებლო სემინარიებში და სამოქალაქო სასწავლებლებთან არსებულ კურსებზე გაგზავნეთ მომავალი სახალხო სკოლების მასწავლებლებიო,—წინადადებას იძლევა იგი. არც სამასწავლებლო სემინარიებში და არც მოხსენებულ კურსებზე ადგილობრივ ენებს შესაფერი ადგილი არა აქვს დათმობილი და, მაშასადამე, სანამ ეს გარემოება არ შეიცვლება, მასწავლებლების ამ სასწავლებლებში გაგზავნას არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება.

რაც შეეხება სამზრუნველოების დაარსებას, ჩვენის აზრითაც, ამას თვალსაჩინო მნიშვნელობა ექნება სახალხო სკოლებისათვის, თუ ამ სამზრუნველოების ორგანიზაცია მართლაც რაციონალურად იქმნა მოწყობილი.

ოლქის მზრუნველს კიდევაც შეუმუშავებია მთავარი მუხლები სამზრუნველოთა ორგანიზაციისა, მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით არ ვიცით, რა საფუძველზეა დამყარებული ეს მუხლები. ვიტყვით მხოლოდ, რომ, თუ არჩევანთა პრინციპი არ დაედო საფუძვლად ამ ორგანიზაციას და მომავალ სამზრუნველოთა უფლებანი ფართოდ არ იქმნა განსაზღვრული, ვერც ამ სამზრუნველოების შემოღება შემატებს რასმე ჩვენს სახალხო სკოლებს.

ა. მიქაბერიძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

6 აგვისტო.

მიტავა, 8 აგვისტო. კურლიანდიის გუბერნიაში სამხედრო წესები გამოცხადდა. დროებით გენერალ-გუბერნატორად კორფუსის უფროსი ბეკმანი დაინიშნა.

პარიზი, 8 აგვისტო. „ტანმა" უმაღლესი მანიფესტი განიხილა და აღიარა: თუმცა ხალხის წარმომადგენლობა ძალიან ფრთებ შეკვეცილია, მაგრამ მაინც ბევრს სარგებლობას მოიტანს, რადგანაც ახლა ხალხს კანონიერად შეუძლიან განიხილოს უმაღლეს ბრძანებათა განხორციელების საშუალებანი და კანონების შესახებაც თავისი საკუთარი აზრი გამოსთქვასო. „ტანი"-ს აზრით თავ. სვიატოპოლკ-მირსკის ლიბერალურ გამგებლობას რეფორმების შემოღებაზე ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხელმწიფე იმპერატორს ის ღვაწლი მიუძღვის,—დასძენს გაზეთი,—რომ მან საჭიროდ დაინახა იმ რეჟიმის შეცვლა, რომელსაც შედეგად რუსეთის ჯარის დამარცხება მოჰყვაო.

მოსკოვი, 8 აგვისტო. 9 აგვისტოს უმაღლეს მანიფესტის მოსასმენად და ამ აქტის გამოქვეყნების შესახებ რაიმე გარდაწყვეტილების მისაღებად, ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება შესდგება. ხვალ ბირჟის საზოგადოების და ვაჭართა წოდების კრებაც მოხდება.—ამ დღეებში მოსკოვში მოდის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავადი ტრუბეცკოი, რომლის მოსვლისთანავე, უმაღლეს მანიფესტის მოსასმენად თავად-აზნაურთა საგანგებო კრება იქნება მოწვეული.—ერთი გაზეთის ცნობა, თითქოს ქალაქის საბჭოს სტატისტიკური განყოფილება უკვე შეუდგა სახელმწიფო სათათბიროში ქალაქის წარმომადგენლების მოწვევის მოწეს-რიგების საქმეს, სიმართლეს მოკლებულია. ამის შესახებ ჯერ ქალაქის საბჭოს არავითარი მსჯელობა არა ჰქონია, რადგანაც ქალაქის წარმომადგენლობისთვის დაწესებული ცენზი ისეთივეა, როგორც სახელმწიფო საბჭოსთვის. საკმარისია მხოლოდ, რომ ქალაქის საბჭომ ამომრჩევლები ახალ კატეგორიებად დაჰყოს და ამომრჩევლებთა სიებში შეიტანოს იმ პირთა გვარები რომლებსაც ცენზი აქვთ.

სტამბოლი, 8 აგვისტო. ოსმალეთის ცენზურამ გაზეთებს აუკრძალა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ წერილების ბეჭდვა; დეპეშების მოთავსებაც კი აუკრძალა, მაგრამ ქალაქში მაინც გავრცელდა ხმები და „ახალ-გაზრდა ოსმალებში" შური დაჰბადა.

ასტრახანი, 8 აგვისტო. იარაღის მაღაზიაში დაახრჩვეს მაღაზიის პატრონი ქალი ადგილზე. წაიღეს 14,000 მანეთი და 20 ოქროს საათი.

ოდესსა, 8 აგვისტო. აღმოაჩინეს ყალბი ფულის ფაბრიკა, სადაც ოქროს ხუთ-მანეთიანს აკეთებდნენ. შეიპყრეს სამი კაცი, რომლებიც ყალბ ფულებს ასაღებდნენ.

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. კონგრესის სესსიის მახლობელ კრებაზე შეიტანენ პროექტი შეერთებულ შტატების არმიის გაძლიერების შესახებ. მოუმატებენ 250,000 კაცს, რომელიც შეადგენს სათადარიგო ჯარს.

ბერლინი, 8 აგვისტო. გერმანიის მთავრობას იმედი აქვს, რომ ინგლისის ესკადრას გერმანიაში კარგად მიიღებენ.

ლონდონი, 8 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფ"-ი არჩევს სახელმწიფო სათათბიროს კანონებს და ამბობს: თუ სახელმწიფო სათათბიროში აარჩევენ ღირსეულ კაცებს და ისინი გულ-დანდობით იმუშავებენ, სათათბიროს შეუძლიან რუსეთის საქმეებზე დიდი გავლენა იქონიოს და დიდადაც შესცვალოს რუსეთის მართვა-გამგეობასო.

ესბორგი, 7 აგვისტო. („დანია") ბალტიის ზღვით შუადღისას მოვიდა ბრიტანიის ესკადრა 10 ჯავშნოსანი, 7 კრეისერი და ერთი ნაღმოსანი. ხვალ კიდევ 23 ნაღმოსანი მოვა. ესკადრას პატივსაცემლად დღესასწაულს გაუმართავენ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აგვისტო.

ბერლინი, 8 აგვისტო. ინგლისი და გერმანია გულწრფელად ეხმარებიან რუზველტს ზავის ჩამოგდების საქმეში. ამასთანავე გერმანიას სრულიადაც არა სურს, რუსეთმა დამამცირებელი პირობები მიიღოს, ან კიდევ იაპონიამ რომელიმე თავის მოთხოვნაზე უარი განაცხადოს. გერმანიას მხოლოდ მოლაპარაკების გაგრძელება და ზავის ჩამოგდება სურს. ინგლისსაც ესევე სურს. არავითარი საბუთი არა გვაქვს მის გულ-წრფელობაზე ეჭვი ვიქონიოთ.

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. ამბობენ, რუზველტს უთხოვნია როზენისთვის, ის მუხლები, რომლებზედაც რწმუნებულნი ვერ შეთანხმდნენ, განსახილველად სამედიატორო სასამართლოს გადაეცითო.

პორტსმუტი, 8 აგვისტო. „ნიუ-იორკ-ჰერალდი"-ს კორესპონდენტი იუწყება, სამედიატორო სასამართლოს სუპერარბიტრად რუზველტმა თავისი თავი დაასახელაო. „ვორლდი" უმატებს, როზენს ყველა სანეიტრალო სახელმწიფოები მხარს დაუჭერენო.—მარტენსის აზრით, მდგომარეობა არც გამოცვლილა და არც გამოიცვლება. მომავალ ოთხშაბათს ის უკან დაბრუნებას აპირობს.

ლონდონი, 7 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფი" ამბობს: იაპონიის რწმუნებულები სახალინის ნახევარის დათმობას დაპირდნენ, თუ რუსეთი სამხედრო ხარჯს გადაიხდისო. რუსეთი ამისთანა წინადადებამ ძალიან გააკვირვა.

ნიუ იორკი, 7 აგვისტო. გაზეთების სიტყვით რუზველტმა დიდიხანია იცოდა, რომ, თუ იაპონელები რუსებს ზოგიერთ მუხლებს არ დაუთმობენ, ზავი არ ჩამოვარდება. საქმის გარდაწყვეტა მიკადოზეა დამოკიდებული. ამით აიხსნება დარბაზობა კამერეკოსი პრეზიდენტთან.

---

*) მწერლობაში ერთნაირ ტერმინოლოგიის შემოსაღებად ამიერიდან „Государственная Дума"-ს ვუწოდებთ „სახელმწიფო სათათბირო"-ს და Государственный Совѣтъ-ს—„სახელმწიფო საბჭოს".

რუზველტმა როზენი ინახულა და წინადადება მისცა, სახალინი იაპონელებს იჯარით 50 წლით დაუთმეთო.

პარიზი, 8 აგვისტო. ვიტტემ „მატენ“-ის კორესპონდენტს უთხრა: რუზველტისა და როზენის ერთი-ერთმანეთის ნახვამ საქმის ვითარება არაფრით არ შესცვალაო. ზავი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იაპონელები სახალინსა და სამხედრო ხარჯზე უარს იტყვიან, ვინაიდან ამას რუსები არ დაუთმობენო.

ბერლინი, 8 აგვისტო, „ლოკალ ანცეიგერ“-ის სიტყვით, რუზველტის საქმეში ჩარევამ რუსების დელეგატებზე კარგი, ხოლო იაპონელებზე არა სასიამოვნო გავლენა იქონიაო. ვინაიდან მხედველობაში აქვთ ჩინეთ-იაპონიის ომი, ისინი ნეიტრალურ სახელმწიფოების ჩარევით კარგს არაფერს გამოელიან. სატომ განაცხადა: რუზველტის საქმეში ჩარევა იაპონელებმა გაზეთების საშუალებით გაიგესო. კორესპონდენტის აზრით, ამერიკელებს სჯერათ რომ ზავი ჩამოვარდებაო.

ლონდონი, 8 აგვისტო. „დეილი ნიუს“-ი ინგლისის პრესსაში პირველი ალაპარაკდა იაპონიის უსამართლო მოთხოვნილებების წინააღმდეგ. გაზეთის აზრით, იაპონიამ ნათლად და ცხადად უნდა იცოდეს, რომ, თუ ომს მარტო იმიტომ განაგრძობს, რომ კონტრიბუცია მიიღოს და შორეულ-აღმოსავლეთში რუსეთის საზღვაო ძალა შეზღუდოს, იაპონია დაჰკარგავს ამერიკისა და ინგლისის სიმპატიას და უფლებაც არ ექმნება სთქვას, რომ ის ზომიერების დამცველიაო.

ლონდონი, 8 აგვისტო. „ტაიმს“-ის პორტსმუტში მყოფი კორესპონდენტი იუწყება: პეტერბურგში გადასწყვიტეს, იაპონელებს შემდეგში აღარაფერი აღარ დაუთმონო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ხე გვერდე).

ჟურნალ-გაზეთებიდან

სახალინი, კონტრიბუცია და რუსეთის ფლოტი. როგორც დეპეშები გვატყობინებენ, რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულებმა ზავის ყველა პირობები განიხილეს და უმთავრესი მუხლები ბოლოს მოათავსეს. იაპონელები თხოულობენ: სახალინის დათმობას, კონტრიბუციას და ვალდებულებას, რომ რუსეთი შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო გემებს არ იყოლიებსო. რუსები არ თანხმდებიან. ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ნახევრად თანხმდებიან: სახალინს უთმობენ, იმ პირობით კი, რომ იაპონელებმა სახალინზე სიმაგრეები, არსენალები და სამხედრო ნავთსადგური არააშენონ, ხოლო კონტრიბუციაზე სულ უარს ამბობენ და მხოლოდ იმ ხარჯს აძლევენ, რაც იაპონიას დაეხარჯა რუს ტყვეების შენახვაზე. იაპონელებმა კი გადაჭრით განაცხადეს, დღეში ათი მილიონი ფრანკი გვეხარჯებოდა ომზე, სულ კი 5 მილიარდი ფრანკი (1875 მილიონი მანათი) უნდა მოგვცეთო. რუსებმა უარი განაცხადეს და მოლაპარაკება დროებით შესწყდა. პორტსმუტიდან იუწყებიან: დღე დღეზე მოსალოდნელია, რომ ვიტტე თავის ამალით რუსეთისკენ გაუდგება, კომურა—იაპონიისაკენ, შორეულ აღმოსავლეთში კი ისევ ზარბაზანი დაიჭექებს და სისხლის ნიაღვარი წამოვაო (მ.).

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის სიტყვით იაპონელებმა კონტრიბუციად $5^{0}/_{0}$ მილიონი დოლლარი (ერთ მილიარდ მანეთზე მეტი) მოითხოვესო. რუსები ყველაფერზე თანახმანი არიან, კონტრიბუციაზე კი სულ უარს ამბობენ. ეს ციეი უარი, ზემოხსენებულ გაზეთის აზრით, მხოლოდ მას ნიშნავს, რომ რუსებს ვაჭრობა და ცოტა დათმობა და დაკლება უნდათ (კ.).

ლინევიჩის ჯარის გაძლიერება. „რუს. ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველი ს. კ. (მოსკოვის საბჭოს სტატისტიკურ ბიუროს გამგე, ვ. მიხაილოვსკი, იგივე ვ. მ.) სწერს: თუმცა პორტსმუტში ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ მარშალ ოიამა და გენ. ლინევიჩი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და არაჩვეულებრივის ენერგიითა და სისწრაფით ემზადებიან მომავალ ბრძოლისთვის. რუსეთი უმთავრეს ყურადღებას გენ. ლინევიჩის ჯარის გაძლიერებას აქცევს. ვლადივოსტოკსა, ამურსა და კამჩატკაში რუსეთს შედარებით ცოტა ჯარი ჰყავს. ვლადივოსტოკში სდგას 49,000 კაცი, ბლაგოვეშჩენსკსა და ნიკოლაევსკს შუა—16,000, კამჩატკაში—1000, სულ 66,000 კაცი. მაისიდან დღევანდლამდე ლინევიჩს განუწყვეტლივ მისდის მაშველი ჯარი, რაიც იმას ამტკიცებს, რომ ლინევიჩს ოიამას დასამარცხებლად საკმაო ჯარი არა ჰყავს. უკანასკნელ ხანებში ლინევიჩს ჰყავდა და ამ ახლო მომავალში მიუვა: 1) ერთი დივიზია ქვეითა ჯარი (მე-53) და 75 საარტილერიო ბრიგადა; 2) 1, 2 და 6 საარტილერიო სამორტირო პოლკი; 3) მე-13 საარმიო კორპუსი სმოლენსკიდან; 4) მე-9 საარმიო კორპუსი კიევიდან. საერთოდ ზემოდ ჩამოთვლილ ჯარში ირიცხება 91,000 სალდათი და 300 ზარბაზანი. როცა ეს კორპუსებიც ჩავლენ მანჯურიაში, გენ. ლინევიჩს ეყოლება 696,000 სალდათი და ექნება 2,224 ზარბაზანი, ე. ი. ქვეითა ჯარი—556,000 კაცი, 38,000 ცხენოსანი, 70,500 არტილერისტი და და 31,600 საინჟენერო და ტყვიის მფრქვეველ რაზმებში მოსამსახურე. ეს ჯარი ბრძოლის ველზე თავს მოიყრის მხოლოდ ოქტომბერში. მაშასადამე, თუ პორტსმუტში მოლაპარაკება შესწყდა, გენ. ლინევიჩი მედგარ ოიამაზე მაინც ვერ გაბედავს მისვლას და $2-2^{1}/_{2}$ თვეს მაინც მოიცდის (რ. ვ.).

მაცუმატოს აზრი ზავის შესახებ. იაპონიის პარლამენტის წევრი დეპუტატი მაცუმატო ამ ჟამად ამერიკაშია და ისეთსავე როლს ასრულებს ამ ქვეყანაში, როგორსაც ბარონი სუემატუ ევროპაში. მაცუმატოს გაზეთ „მატენ“-ის კორესპონდენტისთვის უთქვამს ზავის შესახებ: თუ რუსებმა გადაჭრით უარი გვითხრეს კონტრიბუციის გადახდაზე და სახალინის დათმობაზე, მოლაპარაკებას დაუყოვნებლივ შევწყვეტავთ და საქმის გადაწყვეტას ოიამას მივანდობთ. პირადად მე არ მჯერა, რომ მოლაპაკება მშვიდობიანობის ჩამოგდებით გათავდეს. ჩვენ, სულ ცოტა, $2^{1}/_{2}$მილიარდ მანეთს მოვითხოვთ. ბარონი კომურა ჯერ $3^{3}/_{4}$მილიარდს მოითხოვს და მერე $2^{1}/_{2}$-მდე ჩამოვა. რაც შეეხება სახალინს, ამ ქვეყანას რუსეთი თვალითაც ვეღარ ნახავს. სახალინს სახელიც კი გამოვუცვალეთ და სამუდამოდ შევუერთეთ იაპონიას. ჩვენ მხოლოდ ვწუხვართ, რომ ხელმეორედ გვინდება სისხლის დაღვრა, მაგრამ, რა ვქნათ, შუა გზიდან არ დავბრუნდებით და მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ კონტრიბუციასაც ავიღებთ და სახალინსაც დავისაკუთრებთო (ს. ო.).

რამდენი ჯარი ჰყავს მარშალ ოიამას. რუსეთის ოფიციალურ სამხედრო გაზეთის „რუსკი ინვალიდ“-ის გამოანგარიშებით, მაისში მარშალ ოიამას ჰყავდა 650,000—700,000 კაცი; აგვისტოს გასულს ოიამას ეყოლება, სულ ცოტა, 850—950 ათასი კაცი. ხშირად ამბობენ, რომ იაპონელები მცირე ჯარით მიჰსევიან რუსეთის ჯარს და საშინლადაც დაუმარცხებიაო. ახლა კი მარშალ ოიამას 200 ათასით მეტი ჰყავს ლინევიჩზე და ადვილი წარმოსადგენია, რა დღეს დააყრის, თუ ვინიცობაა პორტსმუტში მოლაპარაკება შესწყდა და ბრძოლა განახლდა (რ. ს.).

უცხოეთის პრესსის აზრი მოლაპარაკების შესახებ. პორტსმუტიდან ცუდი ამბები მოდის: იაპონელები არ უთმობენ და კონტრიბუციას და სახალინს თხოულობენ; რუსებიც გაჯიუტდნენ და ორივეზე უარს აცხადებენ. დღეს თუ ხვალ, უეჭველია, ოფიციალურად შესწყდება მოლაპარაკება და საქმის გადაწყვეტა ისევ მარშალ ოიამას, კუროკის, ნოგის, ნოძუსა და ლინევიჩს, კუროპატკინს და კაულბარსს მიენდობა. ამის შესახებ „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ სწერს: „რუსებს, როგორც ეტყობათ, მუკდენი, ცუსიმა, არტური და ლიაოიანი დაავიწყდათ და გამარჯვების იმედი ისევ მიეცათ. რუსები ჯიუტობენ და სახალინს არ უთმობენ, მაგრამ რა უფლების ძალით? სახალინი, ჯერ ერთი, იაპონიისა იყო, მეორე—პატარა ბავშვმაც კი იცის, რომ რუსები სახალინს ვეღარ დაიბრუნებენ. ყველასთვის ცხადია, რომ რუსები ვეღარც კორეას წაართმევენ ოიამას და ვეღარც პორტ-არტურს. პირიქით, დღეს თუ ხვალ, მთელი მანჯურია, ამურის ოლქი და ვლადივოსტოკიც იაპონელებს ჩაუვარდება ხელში. ისევ ისა სჯობია, რუსებმა დაუთმონ იაპონელებს კონტრიბუციაც და სახალინიც და შინაურ საქმეებს მოუარონ, თორემ აქ, შიდა-რუსეთში, უფრო უარესი ბრძოლა ატყდება, ვიდრე მუკდენსა და ლიაოიანში იყო“.

«ინდეპანდანს ბელჟი» სწერს: „თუ რუსეთს ზავისთვის უნდა ფული, იშოვის, თუ ომისთვის—გროშსაც აღარავინ მისცემს. ეს რუსეთის მთავრობამაც კარგად იცის და ჩვენც მშვენივრად გვესმის. ასეა თუ ისე, ზავი აუცილებელია: რამდენიც უნდა იფიქროს რუსეთის ბიუროკრატიამ, რამდენიც უნდა იმტვრიოს თავი—სულ ერთია: ბოლოს უიმედობის მეტს ვერას გამონახავს და დარწმუნდება, რომ ზავი და დათმობა ისევე აუცილებელია რუსეთისათვის, როგორც ჰაერი ადამიანისთვის“.

,,ნ. ფრ. პრესსი‘‘ სწერს: ,,რუსები ყვირიან: იაპონელებს არც ერთ გროშს მივცემთ და არც ერთ მტკაველ მიწას დაუთმობთო. იაპონელები კი დაჟინებით იმეორებენ: ფულსაც წაგართმევთ და მიწასაცო. რუსები გაიხიარულდნენ: ცუსიმაც დაავიწყდათ, პორტ არტურიც, მუკდენიც და შახეც და ირწმუნებიან, ეხლა კი უეჭველად გავიმარჯვებთო. მაგრამ იაპონელები ამას შეეჩვიენ და რუსების მუქარას აღარავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ეტყობა რუსებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს ჭკუა, მაგრამ ისიც ყველამ ვიცით, რომ რუსი ძნელად ითვისებს გონიერსა და ჭკვიანს დარიგება-მაგალითს. ჩვენ, ევროპიელებმა, ჩვენი მოვალეობა აღვასრულეთ: რუსეთი გავაფრთხილეთ, ნამდვილი გზა ვაჩვენეთ და რჩევაც მივეცით. ეხლა თვითონვე ამოიკრან ცხვირში და ნურავის დააბრალებენ თავიანთ სიბრამავე-უგუნურებას: ნურც იაპონელებს, რომელთაც თვალი აუხილეს, ნურც ინგლისელებსა და ნურც ფრანგებს (ნ. ყ.).

ახალი ამბავი

დღეს, ით აგვისტოს, სამოსამართლო პალატაში, წოდებათა წარმომადგენელთა თანადასწრებით, **საქმის გარჩევა ყიფიანისა, ფიდოროვისა** და სხვათა, რომელნიც პასუხის გებაში არიან მიცემულნი, როგორც წევრნი ეგრედ წოდებულ ,,რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა‘‘. ყიფიანს პატრიოტულ საზოგადოების ერთ-ერთის წევრის მოკვლაცა ჰბრალდება. დამნაშავეთ იცავენ ვექილები: დოლუხანოვი, ზავრიევი და კლანკი.

✦ დღეს, 10 აგვისტოს, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოში **დაიწყო გარჩევა ჯარის კაცის ვოლოსოვის საქმისა**, რომელსაც მე-43 დრაგუნთა პოლკის **აფიცრის სუმბათაშვილის მოკვლა ჰბრალდება.**

✦ ეს რამდენიმე დღეა სომხობა მთელს კავკასიაში დღესასწაულობს საეკლესიო ქონების დაბრუნებას. უმაღლესის ბრძანების მიღების შემდეგ, ყველა ქალაქსა, დაბასა და სოფელში, სადაც კი სომხობა სცხოვრობს, პარაკლისებს იხდიან. სომეხთა კათალიკოსის განკარგულებით, **კვირას, 7 აგვისტოს წირვა და შემდეგ პარაკლისი გადახდილ იქმნა აგრეთვე ვანქის ტაძარშიაც.** პარაკლის აუარებელი ხალხი დაესწრო. ვანქის ტაძრის გალავანში 20,000-მდე კაცს მოეყარა თავი. ტაძრის გალავანი მორთული იყო ბაირაღებითა და ყვავილებით. წირვის შემდეგ, ეზოში კათალიკოსმა, აუარებელ სამღვდელოებასთან ერთად, გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი. გალავანში ხალხიდან რამდენიმე კაცმა სიტყვა წარმოსთქვა დღევანდელ ვითარების შესახებ. უმრავლესობა წინააღმდეგი გახდა ამისა. ასტყდა ალიაქოთი და წივილ-კივილი. ბევრი გალავნიდან გარბოდა. როგორც ამბობენ, ზოგიერთ ორატორისთვის უცემიათ კიდეც. იმასაც ამბობენ, რომ რამდენიმე კაცი პოლიციას გადასცესო.

✦ გურიიდან გვწერენ: 5 აგვისტოს, **ჯუმათის მონასტერს თავს დაეცა 6 შეიარაღებული კაცი.** წინამძღვარი არქიმანდრიტი გერასიმე დასჭრეს, გასაღებები წაართვეს და შეუდგნენ მონასტრის ძარცვას. ხანჯლის წვერით ამოიღეს ხატებიდან ოცდა თერთმეტი ძვირფასი ქვა, წაიღეს მთავარ-ანგელოზის ხატი, რომელიც ოქროსი იყო და 10 გირვანქამდე იწონიდა, წაიღეს აგრეთვე, სამღვდელმთავრო პანაღია, 2,000 მან. დაფასებული, ჯვრები, ხუთი მანათი ფულად და სხვა წვრილმანი ნივთები. რამდენისამე წუთის შემდეგ, მთელმა ჯუმათის საზოგადოებამ თავი მოიყარა და ავაზაკებს დაედევნა, მაგრამ ვეღარ დაეწია. მიღებულია ყოველგვარი ნისძიება ავაზაკების აღმოსაჩენად.

✦ სოფელ მქადის-ჯვარში **მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი თანდათან მატულობს.** როგორც ამ ბოლოს დროს გამოირკვა, მოკლულია ოცდა ათი და დაჭრილია ორმოცზე მეტი.

✦ როგორც გორიდან გვატყობინებენ, მე 44-ე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ჯარის კაცთ ი. მიხტენკოს, ს. პეტრიცენკოს, ნ. მამულაიშვილს და მ. კალაბანოვს ჩხუბი მოსვლიათ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფთ ი. ბერუაშვილთანა და სტ. გულარიანცთან. ჩხუბის დროს, გულარიანცს დანით დაუჭრია ჯარის კაცი მამულაიშვილი, ამის შემდეგ სხვა ჯარის კაცები მიშველებიან, დაუჭრიათ ბერუაშვილი და მოუკლავთ გულარიანცი.

✦ როგორც რატევნიდან (ბორჩ. მაზრა) გვატყობინებენ, **მემამულენი და გლეხები ერთმანეთში მორიგებულან.**

✦ „ნოვოე ობოზრენიეს“ **დროებით რედაქტორად დაინიშნა ა. პ. ნეპრინცევ-ტალერი.**

✦ როგორც ს. ერთაწმინდიდან გვატყობინებენ, **გლეხები და მემამულენი მორიგებულან მეექვსედზე.** რომელი მემამულეც არ დათანხმებულა, ბოიკოტი გამოუცხადებიათ.

✦ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის კანცელიარია ადგენს **კავკასიაში სასურველ ტიპის საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ მოხსენებას.** ეს მოხსენება დაიბეჭდება და გაეგზავნება თავად-აზნაურთა წინამძღოლთ და სხვებს ორი კვირის განმავლობაში.

✦ 5 აგვისტოს, ტფილისის დეპუტატთა საკრებულოში გუბერნიის თავად-აზნაურობას თათბირი ჰქონდა და დაადგინა: მიანდოს ვ. ი. რცხილაძეს **კახეთის რკინის გზის საკითხის შემუშავება.** ვ. რცხილაძეს ნება აქვს, მოიწვიოს სხვა მცოდნე კაცებიც.

✦ გაზეთი „ბაქო“ გადმოგვცემს, **ინგუშებისა და კაზაკების შეტაკების დაწვრილებით ამბებს.** უკანასკნელ სამის თვის განმავლობაში ინგუშებსა და კაზაკთა შორის დამოკიდებულება ძალიან გამწვავებულა. ხან კაზაკები ჰკლავდნენ ინგუშებს, სადაც მოასწრებდნენ, ხან ინგუშები კაზაკებს. 31 ივლისს, ინგუშებს მოუკლავთ კარაბულაკის სტანიცის ერთი კაზაკი, რომელიც ტყეში შეშაზე მიდიოდა თურმე. სამაგიეროდ კაზაკებს მოუკლავთ ორი ინგუში. ინგუშებს მოუნდომებიათ მოკლულთა გვამების დასაფლავება, მაგრამ კაზაკებს თოფი დაუშენიათ, რამდენიმე ინგუში კიდევ მოუკლავთ და 6 ტყვედ წაუყვანიათ. ინგუშებსაც თავის მხრივ თოფის სროლა აუტეხნიათ და ორთავე მხრიდან მრავალი მოკვდარა და დაჭრილა. ამის შემდეგ სხვადასხვა

ფელეტონი

ს ა ზ ღ ვ ა რ ი

(თარგმანი)

მე და ჩემი სახლის პატრონი, მოხუცებული ქერომი, ჟენევის მიდამოებში ვსეირნობდით. უცაბად შედგა ჩემი თანამგზავრი, ფეხები განზე გასდგა, მოპარსულ სახეზე ცბიერი ღიმილი დაეტყო და მკითხა:

— თუ იცით, სადა ვართ ახლა?

— როგორ თუ სადა? გავიკვირვე ამისთანა კითხვა.

ქერომმა სიცილი მორთო.

— მგონი საფრანგეთში ვართ...

— ვერ მოგართვეს, ბატონო!

— მაშ, შვეიცარიაში...

— არა, ბატონო, არა!

— მაშ სადა?

პასუხი არ მომცა: ჯერ კარგა ხანს მიყურა, ჩემის განცვიფრებით დასტკბა და ბოლოს ამიხსნა:

— საფრანგეთშიც და შვეიცარიაშიც...

მე გაკვირვებით შევცქეროდი.

— დიახ, ბატონო, ცალი ფეხი საფრანგეთში მიდგას, ცალი—შვეიცარიაში. ამ ქვასა ხედავთ? აგერ, ცოტა ქვევით კიდევ მეორეს? აი, აქ გახლავთ საზღვარი, სწორედ ჩემ ფეხებ შუა გადის. ახლა მე რომ აქ დავწვე, თავი საფრანგეთში მექნება, ფეხები შვეიცარიაში, ან არა და, ფეხები, შეიძლება, საფრანგეთს შევთავაზო და თავი კი ჩემს შვეიცარიას.

იმისთანა კმაყოფილებით უბრწყინავდა სახე, თითქო გაჭირებულ კაცობრიობას ტვირთი მოხსნა და ედემის კარი უჩვენაო.

— აი, ბატონო, ნახეთ! აი, აქ გახლავთ საზღვარი, აი ჩემ ფეხთან! თავდავიწყებული დასცქეროდა მიწას და თითით საზღვარს მაჩვენებდა, მაგრამ მე იქ ვერასა ვხედავდი. უცნაურმა გაუგებრობამ შემიპყრო: ქერომის სიტყვით, ზედ საზღვარზე ვიდექ. მიუხედავად ამისა, აქეთაც და იქითაც ერთნაირად ბიბინებდნენ ყანები, ერთნაირად მოჩანდნენ დაბლარი ვენახები, ერთი და იგივე ყვავილები ამშვენებდნენ მინდორს, ერთი და იგივე პეპლები და ფუტკრები ტრიალებდნენ ჰაერში და ყველგან ერთი და იგივე ფრინველთ ჟრიამული ისმოდა. ხომ აზრადაც არ მოუვათ ამ ფრინველთ, მწერთ, ყვავილთ, რომ იმათი საწუთრო რაღაც საზღვარით გაუყვია ადამიანს, გაუნაწილებია, ერთმანერთში მტრობა ჩაუთესლებია!

ჩემდა უნებურად ერთხელ კიდევ დავაცქერდი მიწას და, რასაკვირველია, ვერა დავინახე-რა.

მოხდება ხოლმე, ელვასავით გაუვლის ადამიანს ახალი აზრი და ჭეშმარიტებად მიღებულ სიყალბეს და უსაფუძვლობას დაანახვებს: სწორედ შელოცვილი ვიყავ აქამდე—მრავალ-ფერიავან რუკებით, გეოგრაფიის სახელმძღვანელოებით, გაზეთებით, ჯარის-კაცთა მორთულობით,—დარწმუნებული ვიყავ, რომ საზღვარი არსებობს. ახლა კი უცაბად, თითქო თვალი აუხილეს უსინათლოსაო, შევიგენ, რომ ნამდვილად არავითარი საზღვარი არ არსებობს და სწორედ სისულელეა მისი ძებნა.

მაგრამ, თუ კი საზღვარი არ არსებობს, მაშ, რაზედა სდგას ჩემი ქერომი?

— არაფერზე!

იმას კი სწამს, რომ ზედ საზღვარზე უდგას ფეხი.

— ჰა, როგორ მოგწონთ, ბატონო? შემომყურებდა იმავ ცბიერის ღიმილით ქერომი.

ცოტა არ იყოს, შევკრთი. სწორედ ასევე შეკრთება ადამიანი, თავისი ტოლი, ამხანაგი რომ უცბად შეშლილებად ეჩვენოს.

— არა, კარგი არ არის? ეს თქვენი საფრანგეთი, ეს კიდევ შვეიცარია!

სწორედ შეშლილია ქერომი.

— გამარჯვება, მეზობელო!..

— ოო, ჟაკ გაუმარჯოს! მიუგო ქერომმა.

ერთი მოხუცებული, მაგრამ კაჟივით მაგარი კაცი მოგვიახლოვდა, ლურჯი ხალათით მოსილი.

— რასა იქ, როგორა ხარ, ჩემო ქერომმ?

— როგორც მხედავ. შენც არა გიჭირს რა, მგონი?..

— მადლობა ღმერთს.

— დავდივართ მე და ჩემი მდგმური, დავსეირნობთ... აი, საზღვარი ვაჩვენე. მე რომ აქ დავწვე, თავი საფრანგეთში მექნება და ფეხები შვეიცარიაში-მეთქი, ვეუბნებოდი. არა, კარგი არ არის! მოხუცი ქერომი შვეიცარიელი არის, მოხუცი ჟაკი ფრანგი და ყანები კი ერთადა აქვთ.

— მართალია! რაც მართალია, მართალია!.. აი, ბატონო, სწორედ აქ გახლავთ საზღვარი. აი, ხედავთ?.. მოდით, დავსხდეთ, დავისვენოთ.

— ბაზარში იყავ, კვირას?

— ვიყავ, მაშ არა?

— რაო, რა ფასში იყო...

და გააბეს ლაპარაკი მაზანდაზე, მოსავალზე, ავდარზე, საქონელზე. ტანსაცმელით, ცხოვრებით, ჩვეულებით, რწმენით ერთნი იყვნენ ორნივე და, მიუხედავად ამისა, მოხუცი ქერომი შვეიცარიელი იყო და მოხუცი ჟაკი—ფრანგი.

ჩემს გვერდით ისხდნენ და ტკბილად მუსაიფობდნენ ერთად შეზრდილი მოხუცნი; მაგრამ დღეს რომ რამე მოხდეს, იქ, შორს, სადღაც ცხრა მთას იქით, ქერომის შვილები ცეცხლს წაუკიდებენ ჟაკის სახლს და ჟაკის შვილები კიდევ თოფს დაუშენენ ქერომის შვილებს, შეესევიან იმის სახლს, აიკლებენ, ააოხრებენ, ბავშვებს არ დაინდობენ, ქალ-რძალს გააუპატიურებენ... ცეცხლითა და მახვილით აღგვიან დიდი-ხნის ნაშრომ ნაღვაწევს. რადა? რისთვის? იმისთვის, რომ უმეცარია ადამიანი. ვიღასაც მოუჭორებია და ხალხსაც დაუჯერებია, ვითომ საზღვარით იყოს გაყოფილი კაცობრიობა; ვითომ ერთნი არ იყვნენ! ვიღასაც მოუჭორებია და ხალხსაც დაუჯერებია, ვითომც საზღვარს იქით ჩვენი მტრები ცხოვრობდნენ, ჩვენი მოსისხლე მტრები! რომ დააკვირდნენ ამ საზღვარს, ვერას იპოვიან, როგორადაც მე ვერა ვიპოვე-რა ქერომის ნაჩვენებში; და რაკი დარწმუნდებოდნენ, რომ საზღვარი არ არის, იმასაც ადვილად იწამებდნენ, რომ ქერომი და ჟაკი ძმანი არიან და ერთმანეთში სამტრო არა აქვთ-რა.

ერთი ამბავი მომაგონდა უცბად. ძველად ამბობდნენ, იტალიის ერთ მონასტერში ღვთისმშობლის თმა არის დაკრძალულიო. ძვირფას კოლოფში ჰქონდათ შენახული, მსურველს ყველას აჩვენებდნენ, მაგრამ დანახვით კი მარტო ის დაინახავდა, ვისაც ღირსჰქნიდა ღვთისმშობელი. ერთი საწყალი დედაკაცი მივიდა მონასტერში, გულმხურვალედ ილოცა და მერე—ღვთისმშობლის თმა მაჩვენეთო,—ითხოვა. ადგა მაშინვე ბერი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი კოლოფი გამოიტანა, ახადა, ორი თითით ვითომ რაღაცა ამოიღო და უთხრა:

— ხომ ხედავ?

ბევრს ეცადა დედაკაცი, ძალიან აჭყიტა თვალები, მაგრამ ვერა დაინახა-რა.

— არა, მამაო, ვერა ვხედავ.

— ვერა ხედავ, და მაშ, ულირსი ყოფილხარ! წადი კიდევ ილოცე.

ბევრი ილოცა დედაკაცმა, ბევრი ცრემლი დააფრქვია, მაგრამ მაინც ვერა დაინახა-რა.

კიდევ და კიდევ ილოცა. სამჯერ, ოთხჯერ შეაწუხა ბერი, და მაინც ამაოდ ჩაუარა ამოდენმა ლოცვამ.

ბოლოს მოთმინებიდან გამოვიდა ბერი:

— გიჟი ხომ არა ხარ, დედაკაცო! ოცდაათი წელიწადია, აქა ვარ, მე ვერა ვნახე, რასაც ვაჩვენებ, და შენ გინდა აგრე ადვილად დაინახო?!.

ვინ იცის, რამდენი ხანია,—ვიღაც მოხერხებული ბერი უჩვენებს ქერომებს და ჟაკებს არარსებულს თმას ღვთისმშობლისას,—ხალხთა შორის რაღაცა საზღვარს და იმათაც სწამთ და ხედავენ კიდეც. როდის ჩამოეცლებათ, ნეტავ, თვალთაგან ბინდი? როდის იგრძნობენ ბერის სიცრუეს? როდის მიხვდებიან, რომ მარტო მათი ნდობით და უმეცრებით ცოცხალ არს ბერი და ხალხის მოტყუებაზე აუშენებია თავისი კეთილდღეობა. როდის დარწმუნდებიან, რომ ხალხთა შორის არ არსებობს არავითარი ხაზი, არავითარი საზღვარი, და ყველანი ძმანი არიან?

კინაღამ წამოვარდი და დავუყვირე:

— ქერომ! ჟაკ! საზღვარი არ არსებობს, არა! აბა სად არის? დააცქერდით!

მაგრამ სწორედ ამ დროს წამოიწია წელის ფხანით ქერომმა და სთქვა:

— ახლა კი შინისკენ გავემგზავროთ, ვისეირნეთ, ასე გასინჯეთ, საზღვარგარედაც ვიყავით...

— საფრანგეთი ხომ ნახეთ და ახლა შვეიცარიაში მიბრძანდით!—უპასუხა ჟაკმა.

— დიახ, ახლა შვეიცარიაში. ნახვამდის, მეგობარო. აი, ბეჩავ, სიბერევ!..

— გული არ გაიტეხო, ჩემო ქერომ, ჩვენთან სიბერეს რა უნდა?! ნახვამდის!

ხელი ჩამოვართვი ჟაკს და საფრანგეთიდან შვეიცარიაში დავბრუნდით, მოხუცებულ ქერომის სახლში, რომელიც იქვე მოსჩანდა ვენახებში.

ი. მაჭავარიანი.

გერმანელთა გართობა.

„ნამდვილი მხიარულება ხუმრობა არ არისო“,—ამბობდნენ ძველი რომაელები და თუ დავუკვირდით, გასართობებს მართლადაც დიდი ზნეობრივი, საზოგადოებრივი, ეკონომიური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს თითოეულ ერის ცხოვრებაში.

რაც უფრო ველურია ხალხი, მით მისი გასართობებიც ხეპრულია. ნახევრად განათლებულ ხალხთა გასართობი ლოთობა, ნადირობა ან რომელიმე ბავშური თამაშაა, სხვა, ხეირიანი, გართობა მათთვის არ არსებობს. ასევე ერთობოდა ოდესღაც ევროპა და მისი ხალხი, მაგრამ ის დრო დიდი ხანია განჰქრა.

გავრცელდა განათლება, გართულდა შრომა და ევროპიელმაც გასართობებსა და მათ თვისებებზე აზრი გამოიცვალა.

განათლებული კაცი—მატარებელია შრომისა, მას ნაკლები თავისუფალი დრო აქვს და სცდილობს ეს დრო ბედოვლათობას კი არა, სასარგებლო და სასიამოვნო გართობას შესწიროს. თითოეულმა, ცოტად თუ ბევრად, შესმენილმა ადამიანმა იცის, რომ განათლება მარტო სასწავლებლის დასრულებით არა მთავრდება, თუნდა ეს სასწავლებელი უნივერსიტეტიც იყოს, არა, სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდება და აი, კაცის ერთი მასწავლებელთაგანი ცხოვრებაში არის ქვეყნიური გასართობები. ხოლო ეს ქვეყნიური გასართობები რომ მარტო ერთის კაცის ხვედრი არ იყოს, ხალხი, საზოგადოება სცდილობს მეორესაც გაუზიაროს იგი, შეასწავლოს, მიიმხროს. ამ აზრით არსდება კავშირები, საზოგადოებანი და სხვა.

გასართობთა მომწყობი ორგანიზაციები ყველაზე უფრო გავრცელებულია გერმანიასა, გერმანიის ავსტრიასა და შვეიცარიაში, სადაც ასეთი ორგანიზაციები, ამ ნახევარ საუკუნის წინად, დაარსდა. ეს ორგანიზაციები ორ ჯგუფად განიყოფება. პირველის ჯგუფსანი არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან თავის წევრთა გონებრივ-არტისტიულ განვითარებას, როგორც მაგალითად: დრამატიული, მუსიკალური, სალიტერატურო და სახალხო კითხვების გამმართველი საზოგადოებანი; ხოლო მეორე ჯგუფსანი ემსახურებიან წევრთა სხეულის განვითარებას, ვინაიდან საღი სული, საღ სხეულში უნდა იდგეს. ასეთნი არიან საზოგადოებანი: გიმნასტებისა, მსროლელთა, მოცურავეთა, მენავეთა და სხვათა.

ვინაიდან მარტო გერმანიაში 300 თეატრია, დრამატიულ საზოგადოებათ იმდენი მნიშვნელობა არა აქვთ. კერძო ორგანიზაციების, მაგალითად ხელოსანთა, მუშათა და სხ. განყოფილებები უფროა. ამ ორგანიზაციებს ან თავისი საკუთარი შენობები აქვთ, ან დროგამოშვებით, დაიქირავებენ ხოლმე დარბაზებს, წარმოდგენებისა, ლიტერატურულ საღამოებისა და ცეკვის გასამართავად. ამ დარბაზებში იკრიბებიან წევრნი საზოგადოებისა თავისის ცოლშვილით და დროს მხიარულად ატარებენ. ბევრჯელ დავსწრებივარ ამ გვარ საღამოებს და არამც თუ წარმოდგენას, გინა სალიტერატურო საღამოს დავუტკბივარ, თვით წევრთა ურთიერთობასა და მოპყრობას სასიამოვნოდ გავუკვირვებივარ. არავითარი უგვანო საქციელი, არავითარი აურ-ზაური და უწესოება აქ არა ხდება. გათხოვილ თუ გასათხოვარ ქალებს თავი ღირსეულად უჭირავთ და ეგრედ წოდებული „გოგო-ბიჭობა“ და არშიყობა მამაკაცებისთვისაც არ შეიმჩნევა.

დრამატიულ საზოგადოებაზე უფრო მეტი მნიშვნელობა მუსიკალურ საზოგადოებათა აქვთ, ვინაიდან მისი წევრები მარტო მუსიკის მოყვარენი კი არა, ნამდვილი არტისტებიც არიან. ასეთ საზოგადოებათა კონცერტებზე მხოლოდ მუსიკალური სიამოვნების მიღება შეიძლება, ვინაიდან მომიჯნავე ოთახში არ მოიპოვება ბანქოს სათამაშო „მწვანე სტოლები“, იმათთვის, ვისი ყურთა სმენაც მუსიკის მშვენიერებას ვერ მისწვდომია.

მთელს გერმანიასა, ავსტრიასა და შვეიცარიაში ყველაზე უფრო გავრცელებულია მომღერალთა გუნდები. არ არის ისეთი პატარა ქალაქი,

სოფლებიდან შეიარაღებული 2,000 ინგუში და კაზაკთა სტანიცებს დასცემია. მოსულიათ შეტაკება და კვლავ მრავალი მოკლულა და დაჭრილა. ამას გარდა ინგუშებს კაზაკები ტყვედ წაუყვანიათ და კაზაკებს კიდევ ინგუშები საქმე მეტად გამწვავებულია. ინგუშების ყველა სოფლები შეიარაღებულია.

✦ წარსულს წელს კავკასიის მთავრობამ შეიმუშავა **მემამულეებისაგან გლეხების-მიერ ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის პროექტი** და შინაგან საქმეთა სამინისტროში გაჰგზავნა. ამჟამად სამინისტრომ კავკასიის ნამესტნიკს ამ საქმის შესახებ თავისი აზრი მოსთხოვა. კავკასიის ნამესტნიკმა ამ პროექტის გადასათვალიერებლად და შესავსებლად შეადგინა საგანგებო კომისია ნამესტნიკის საბჭოს წევრის ჯუნკოვსკის თავმჯდომარეობით და ამ ახალს პროექტს ამ ცოტა ხანში ისევ სამინისტროს გაუგზავნიან. ახალ ცნობების შესაკრებად თავმჯდომარე ჯუნკოვსკის აზრად აქვს დაიაროს კავკასიის ზოგიერთა ადგილები.

✦ ამას წინად საგუბერნიო საგლეხო საქმეთა **საკრებულომ რამდენიმე სოფლის საზოგადოების განაჩენი დაამტკიცა.** ამ განაჩენებით გლეხები თხოულობდნენ სოფლებიდან გაძევებას არასაიმედო პირებისას. აქვე აღნიშნული იყო მიზეზები გაძევებისა. საკრებულომ დაამტკიცა ყველა ეს განაჩენი. ახლა სენატმა გააუქმა საკრებულოს დადგენილებანი და განუმარტა მას, რომ იმ წესების გარდა, რომელიც მიღებულია აღნიშნულ განაჩენების დასამტკიცებლად, საჭიროა ყოველი ასეთი საქმე გარდაეცეს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავის მოსაზრების წარმოსადგენად საკრებულოში. (ცნ. ფ.).

✦ ქართლ-კახეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალყურემ ა. ი. ოდოევმა სამრევლო სკოლებზე გაანაწილა ის 9000 მანათი, რომელიც ამ უწყების სკოლებისათვის საერობო თანხიდან გადაიდო. ეს ფული განაწილებულია **იმ სკოლებზე, რომლებიც მხოლოდ რუსთა ახალშენებში არსებობენ.**

✦ საქართველოს ექსარხოსი ამჟამად იკვლევს მიზეზებს, „სასულიერო მოაზბის“ **ქართულ განყოფილების მოსპობისათ.**

✦ რადგანაც შიდა-რუსეთიდან **კავკასიაში გლეხების გადმოსახლების საქმე დროებით შეჩერებულია,** ის გლეხები, რომელთაც კავკასიაში მიწები უკვე მიუზომეს, ვადაზე ვერ გადმოსახლდებიან. კავკასიის ნამესტნიკმა გადმოსახლების ვადა ერთის წლით გადასდო.

✦ სამშაბათს, 8 აგვისტოს, იმერეთის ეპისკოპოსი **ლეონიდი ტფილისში ჩამოვიდა.**

✦ **ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორად** დაინიშნა ბაქოს გიმნაზიის მასწავლებელი ი. ლორთქიფანიძე.

✦ გუშინ, სურამს წავიდა **ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია:** თავმჯდომარე პ. ა. იფლიანდი, სასამართლოს წევრი ნ. ა. ტარსაიძე და ბრალმდებელი ა. ა. კარასევი. სესსია დარჩება 16 აგვისტომდე.

✦ ტფილისის ვაჭართა მამასახლისმა **ფინანსთა სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინა პროექტი** საფონდო და საქონლის ბირჟების დაარსების შესახებ.

✦ გუშინ, 9 აგვისტოს, მატარებელ № 76-ში, შულავრის ბაქანთან, ქერბალაი მამედ-ოღლის მეცლში სასიკვდილოდ დაუჭრია არტილ-მაშადი მამედ-ალი-ოღლი და მიმალულა.

✦ 8 აგვისტოს, ღამის 10 საათზე, მე-301 ვერსზე, უნახავთ ყელ-გამოჭრილი გვამი იბრაჰიმ მუსეინ-ოღლისა.

✦ სადგურ ორბეთს და ვაზიან შუა 6 აგვისტოს, სოფ. უხიათუბანის გლეხს იოსებ ჯავაშვილს, რომელიც ურმით მიდიოდა, დასცემიან 3 შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი, მძიმედ დაუჭრიათ, გაურეკნიათ საქონელი და მიმალულან.

✦ ს. საგირის (ბაქოს გუბ.) მცხოვრებლებს ეცემიათ სტრაჟნიკებისა და უნტერ-ოფიცრის კატკოვისათვის და სოფლიდან გამოურეკნიათ.

✦ ივლისის თვის განმავლობაში ქალაქის საყასბოში დაუკლავთ მსხვილ-ფეხი საქონელი 3306 სული, ხბო 144 და ცხვარი 9215.

კორექტ. შეცდ. გასწორება: გუშინდელ ნომერში, პირველ გვერდზე, მეორე სვეტის ქვემოდან მეცამეტე სტრიქონში, დაბეჭდილია, „ურცხვი“, უნდა იყოს „ურიცხვი“.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ცირკულიარი.

იმ აზრით, რომ კავკასიის სკოლებში ადგილობრივ მცხოვრებთა შვილების სწავლა კარგს ნიადაგზე დადგეს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა სახალხო სკოლების დირექტორებსა და ინსპექტორებს შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნა: 1) სახალხო სკოლების ინსპექტორს უნდა ჩაბარდეს ის რაიონი, რომლის მკვიდრთა ენაც იცის, თუ რომელიმე ინსპექტორმა ადგილობრივი ენა არ იცის, მის შესწავლას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს. 2) სკოლების დათვალიერების დროს, სახალხო სკოლების ინსპექტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ გავლილ კურსის რაოდენობასა და ღირსებას, დედა ენის სწავლის მეთოდს და სხვა. რადგანაც ზოგიერთა რაიონის ინსპექტორმა შეიძლება მოსწავლეთა ყველა ენა არ იცოდეს, ამიტომ, რევიზიის დროს, მას უნდა ახლდეს გამოცდილი მასწავლებელი, რომელიც დაეხმარება პირველ დაწყებითი სწავლის კარგად მოწყობის საქმეში. 3) სოფლის სკოლების დათვალიერების დროს, ინსპექტორები მოვალენი არიან სკოლაში მოიწვიონ ხოლმე საზოგადოების წევრნი და სკოლის შესახებ საუბარი გაუმართონ. საზოგადოების ყველა განცხადებანი, რომელიც კი შეეხება სკოლის საქმეს, შეტანილ უნდა იქმნას სარევიზიო ანგარიშში, რათა მზრუნველს შეეძლება მიეცეს გაიცნოს ეს განცხადებანი და შესაფერი ზომები მიიღოს. 4) საჭიროა გაორკეცდეს ის საშუალებანი, რომელსაც ამ ხნობამდე ეხმარობდით ადგილობრივ ენების მცოდნე მასწავლებლების მოსამზადებლად. კანდიდატები (მაგ.. სწავლა დამთავრებულნი 2-კლასიან სკოლებსა, მაიკოპის ტეხნიკურ სასწავლებელსა, თემირ-ხან-შურის რეალურ სასწავლებელსა და ზაქათალის სკოლებში) უნდა გაიგზავნონ მარტო სასტატო სემინარიაში კი არა, არამედ საქალაქო სასწავლებლებთან დაარსებულ ერთ-წლიან კურსებზედაც. 5) თანახმად 1881 წლის სამოსწავლო გეგმისა, საჭიროა, რომ ერთ-კლასიან სასწავლებლებში ორ-ორი მასწავლებელი იყოს და ზოგიერთ ადგილებში დაარსდეს ორ-კლასიანი სასწავლებლები. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა ფული, როგორც მასწავლებელთა ჯამაგირებისა, ისე შენობისათვის, ამიტომ მზრუნველმა უკვე სთხოვა ამიერ-კავკასიის სახალხო სკოლების დირექტორებს, ამ საჭიროებათა შესახებ აცნობონ გუბერნიის უფროსებს, რომლებიც საერობო თანხიდან ფულს გაიღებენ. 5) პირველ-დაწყეათი სკოლების კარგ ნიადაგზე დაყენებას ხელს შეუწყობს სკოლების სამზრუნველოები, რომელთა დაარსების შესახებ ოლქის მზრუნველმა ნება ითხოვა კავკასიის ნამესტნიკისაგან. ამ სამზრუნველოებს, რომლებიც შესდგება საზოგადოების-მიერ არჩეულ წევრთაგან, შეუძლიათ ურჩიონ მთავრობას ამა თუ იმ მასწავლებლის დანიშვნა და თავისი აზრი გამოსთქვას სამოსწავლო გეგმის შესახებ. ამ სამზრუნველოების ორგანიზაციას სახალხო სკოლების ინსპექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. სამზრუნველოების ორგანიზაციის საზოგადო დებულებანი შემუშავებულია და სახალხო სკოლების დირექტორებსა და ინსპექტორებს უკვე დაეგზავნათ.

ქუთაისის ცხოვრება

ქუთაისის მესაათე-მებრილიანტების შეგირდები და ქარგლები გაიფიცნენ და ოსტატებს წარუდგინეს მოთხოვნილებანი თავის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

ა. შეგირდები თხოულობენ, რომ:

1) მოისპოს ბავშვების 14 წლამდის შეგირდათ აყვანა;

2) შეგირდების ვადა უნდა განისაზღვროს სამის წლით;

3) შეგირდებს არ ჰხდებოდეთ ხელობის სასწავლო ფული;

4) ოსტატებს ნება არ უნდა ჰქონდეთ, შეგირდები ოჯახში იმსახურონ;

5) საქმის დღით შეგირდები სახელოსნოში უნდა იყვნენ მხოლოდ იმდენს ხანს, რამდენიც დაწესებული იქმნება საზოგადოდ მთელს ქალაქში, შემდეგ კი მეორე დღემდის თავისუფალი უნდა იქმნენ.

6) კვირა-უქმე დღეებში, როდესაც სახელოსნოები დაკეტილია, შეგირდები მთელი დღით უნდა იყვნენ თავისუფალნი;

7) შეგირდად აყვანიდან ორის წლის განმავლობაში მათ უნდა ეძლეოდეთ ოსტატებისაგან დროის შესაფერი: კარგი ტანისამოსი, საცვლები, აბანოს და სადალაქოს ფული, ბინა, რიგიანი სასმელ-საჭმელი და საექიმო დახმარება. ორი წლის შემდეგ კი შეგირდს უნდა მიეცეს თვეში ხუთი მანათი ტანისამოსისა და სხვა წვრილი ხარჯებისათვის, ხოლო ბინა, სასმელ-საჭმელი და ექიმობა კი ისევ ოსტატის ხარჯზე უნდა ექმნეს;

8) ოსტატი ვალდებულია, შეგირდად აყვანიდან სამის თვის განმავლობაში, გამოარკვიოს ბავშვის ნიჭი; თუ ბავშვს უნიჭობა ეტყობა ხელობაში, ოსტატი ვალდებულია დაითხოვოს ის, სამედიატორო სამართლის თანახმად;

9) თუ შეგირდმა ვადის გათავების შემდეგ ხელობა არ იცის, უნდა დაინიშნოს ოსტატებისა და მათი შეგირდების-მიერ არჩეულ პირთაგან სამედიატორო სამართალი, რომელმაც უნდა განიხილოს, თუ რამდენად დამნაშავეა ოსტატი შეგირდის მოუმზადებლობაში და, თუ აღმოჩნდება მისი დანაშაული, იმ შემთხვევაში უნდა გადიხადოს შეგირდის სასარგებლოდ 300 მანათი;

10) შეგირდების დათხოვნა უნდა ხდებოდეს არა ოსტატების თვითნებობით, არამედ სამედიატორო სამართლის გადაწყვეტილებით;

11) მოისპოს სახელოსნოებსა და დუქნებში დამდამობით შეგირდების წოლა;

12) ოსტატები ვალდებულნი არიან ზრდილობიანად ექცეოდნენ შეგირდებს, როგორც ადამიანებს;

13) სამუშაო დღის განმავლობაში, შეგირდს უნდა ეძლეოდეს ერთი საათის თავისუფლება სადილის საჭმელად.

ბ. ქარგლების მოთხოვნილებანი ამგვარია:

1) შემოკლდეს სამუშაო დრო დღეში 10 საათამდის: 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე უნდა მუშაობდნენ დილის 7 საათიდან სადამოს 5 საათამდე; 1 სექტემბრიდან 1 აპრილამდის კი—დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე. ამ ათი საათიდანაც ერთი საათი (12-დან 1-მდე) უნდა ეძლეოდეთ სადილისათვის:

2) უნდა მომატებულ იქმნას სამუშაო ქირა ამგვარად: ვინც თვეში 5—10 მანათს იღებს, უნდა მოემატოს ჯამაგირის 70%, ვინც 10—20 მანათს—50%, ვინც 20—30 მანათს—40%, 30—40 მანათზე—30%, 40—50 მანათზე—25%, 50—60 მანათზე—20% და სხ.

3) დაწესდეს ქირის მიღება უოველ კვირის ბოლოს;

4) ვინც ერთ წელიწადს იმსახურებს, ნება მიეცეს წელიწადში ერთხელ ისარგებლოს ორის კვირის თავისუფლებით და ჯამაგირიც შეუნახოს;

5) ორის კვირის თავისუფლების გარდა ქარგალს ნება უნდა ჰქონდეს, საჭიროების დროს, მოითხოვოს 1—5 დღის თავისუფლება უჯამაგიროდ;

6) ავადმყოფობის დროს, ორის კვირის განმავლობაში, ქარგალმა უნდა იქმოს ოსტატის ხარჯზე; თუ ავადმყოფობა მეტს ხანს გაგრძელდა, ადგილი უნდა შეუნახოს ჯამაგირიანად ერთის თვის განმავლობაში;

7) უოველი უთანხმოება ოსტატსა და ქარგალს შუა უნდა სწყდებოდეს სამედიატორო სამართლით;

8) ქარგლებსა და შეგირდებს დანაშაულად არ უნდა ჩაეთვალოთ ის უთანხმოებანი, რომელიც გამოწვეულ იქმნება გაფიცვით;

9) გაფიცვის დროს ქარგლებს ჯამაგირი სრულად უნდა ეძლეოდეთ;

10) ოსტატები ზრდილობიანად უნდა ეპყრობოდნენ ქარგლებს, როგორც ადამიანებს.—როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ქალაქის ქვის სტეხ მადანს ეკლარში მუშები გაფიცულან და ქირის მომატება მოუთხოვიათ.

ისარა.

სადღეისო

ბიუროკრატიის ჩივილი

„საწყალი ბიუროკრატია! ყველამ ყბად აიღო და ლამის იგი წყალს წაადებინონ. ვინ იცის, რას არ აბრალებენ საცოდავს! მანჯურიაში დამარცხდა რუსის მხედრობა და ზღვაზე ფლოტი გაუნადგურეს იაპონელებმა რუსებს. რადა? რა შუაშია ბიუროკრატია? გემები აკლდა როჟესტვენსკის? ზარბაზნები და ტყვა-წამალი? იქნებ, სურსათი არა ჰქონდა, ან ქვა-ნახშირი? ყველაფერიც ბევრი ჰქონდა, იმავე ყბად აღებულ ბიუროკრატიის წყალობით. ახლა ჯამაგირს არ იკითხავთ? როჟესტვენსკის წლიურად ტოგოზე ოცჯერ მეტი ჯამაგირი ჰქონდა. რისთვის? რადა? იმიტომ, რომ უფრო ერთგული ყოფილიყო სამეფო ტახტისა და თავის მადლიანის სამშობლოს მთავრობისა; უფრო უნდა წაქეზებულიყო, მეტი მხნეობა, მეტი ერთგულება, მეტი მამაცობა გამოეჩინა.

ნუ თუ ბიუროკრატიას ის ცოდვად, დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს, რომ მოსამსახურე პირთა გულს იგებს, ამხნევებს კარგის ჯილდოს და კაი ჯამაგირების ძლევით? არა და არა. სტყუის, სცდება, ვინც წინააღმდეგს იტყვის და იფიქრებს, ნუ თუ მეტმა ჯამაგირმა, მეტმა ყურადღებამ მთავრობისამ თავის ქვეშევრდომისადმი უნდა წაახდინოს და დააქვეითოს ადამიანი? როგორ შეიძლება? რა სათქმელია!

ან ჯარის კაცებს რა უჭირთ? არა ჰშიათ, არა სწყურიათ, მუკდენში საწყობები ფეხსაცმელებით სავსე დარჩა და ფეით უსის ლაშქარმა წაუკიდა ცეცხლი, სალდათები კი ფეხშიშვლები დაიარებოდნენო. ესეც ბიუროკრატიის ბრალიაო! ღმერთო, შემიწყალე, სად ფეხსაცმელები, სად ბიუროკრატია?! ეგ ერთი კაცის, რომელიმე პოლკის უფროსის ბრალია და არა მთელის ბიუროკრატიისა. იქნება, ბრალად არც კი ჩაეთვალოს თვით იმ პოლკის უფროსს ასეთი საქციელი. ვინ იცის, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა იგი? რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ჰზოგავდა, ინახავდა წაღებს საბოლოოდ და ამით ხაზინას მფარველობას უწევდა? ნუ თუ დაზოგვა, სარისტიანობა ვისგანმე დასაძრახისია? ხალხს, სწორედ, ტვინი გადაუბრუნდა!..

ყველაზე მეტად კიდევ ეს მაოცებს და მაკვირვებს: დამდგარან და საჯაროდ გაიძახიან: იაპონელები იმიტომ გვამარცხებენ, ჩვენი ჯარისკაცი გაუნათლებელია, შეუგნებელი, არა აქვს საკუთარი „მე“, საკუთარი მოსაზრება, ბრმად ემორჩილება უფროსის ბრძანებას, კვდება უფროსი და კვდება მისი ვინაობაც, იბნევა, აღარ იცის, რა ქნას, როგორ მოიქცესო. იაპონელი ჯარის-კაცი სულ სხვაა: ნასწავლი, თვითცნობიერებით აღჭურვილი, ამიტომ თუნდაც უფროსი მოკვდეს ბრძოლის დროს, იგი საქმეს არ წაახდენს, რადგან იცის, რა გააკეთოს, როგორ მოიქცესო, და სხვ. ამისთანეებს სწერენ და ლაპარაკობენ.

მიკვირს, რაც ღირსებად უნდა ჩაეთვალოს ჩვენ ჯარისკაცს, ის ქვეყანამ ცოდვად მიიჩნია; თვითცნობიერება მოკლებული, სამსახურისთვის თავდადებული, უფროსის მაღმერთებელი, უფროსის სიტყვის ამსრულებელი უკრიტიკოდ, უსიტყვოდ და მამაცი. მეტი ღირსება-ღა იქმნება ჯარის კაცისა? შეიძლება კიდევ მეტი რამ მოვითხოვოთ? ხოლო უფროსს უნდა ესმოდეს, როგორ მოიხმაროს ეს ძალა და ნუ თუ უფროსებმა არ იციან არაფერი? ესეც ხომ ტყუილია. ჯარის კაცს სწავლა-მეცნიერება რად უნდა? არაფრად. თუ მკითხავთ, განათლება კიდეც აწყენს, რადგან განათლება ლმობიერ გრძნობებს უვითარებს ადამიანს. ჯარისკაცის ღირსება ორია უმთავრესი და უაღრესი: მამაცობა და მორჩილება. მორჩა და გათავდა. დანარჩენი სულ ტყუილი და დედა-ბერების ჭორებია. ჩვენი ჯარის კაცი რომ განათლებული იყოს, უფრო უარესობა დაგვემართებოდა.

ან ვის უნდა გაენათლებინა? ბიუროკრატიას რა საქმე აქვს განათლებასთან? ჩვენ გვაბარია ჩვენი საქმეები, აუარებელი ქაღალდები, მისაწერ-მოსაწერი, გასაგზავნ-გამოსაგზავნი და სხვა და სხვა. მოჰყოლიან უსირცხვილოდ და ამასაც ბიუროკრატიას აბრალებენ. და განა მარტო ჯარისკაცთა გაუნათლებლობის მიზეზად გვხადიან? არა! განათლების სისტემის უვარგისობას გვიკიჟინებენ. განსვენებული ივანე სერგეის ძე ტურგენიევი ჰკვიან კაცად იყო ცნობილი და ისე გადაყრუვდა საზღვარგარედ ხეტიალით, რომ ჩვენი სწავლა-განათლების სისტემა შემდეგის ფორმულით გამოხატა: „ტემნა ვოდა ვ ობლაცეხო“. რა თქმა უნდა, რაკი იმან დაჰგმო ჩვენებური სწავლა-განათლება, სხვა, წვრილფეხობანი უარესს იზამდნენ.

აბა, რა დააშავა ჩვენმა სწავლა-განათლებამ, ერთი მიბრძანეთ? მინისტრის ალაგას—მინისტრი გვყავს, მთავარმართებლის ადგილას—მთავარმართებელი, გუბერნატორისა—გუბერნატორი, მაზრის უფროსისა—მაზრის უფროსი, მღვდლისა—მღვდელი, მასწავლებლისა—მასწავლებელი, დიაკვნისა—დიაკვანი, მამასახლისისა — მამასახლისი და სხვა. ვინ იცის, ცაზე ვარსკვლავი არაა იმდენი, რაც სამსახურის სხვადასხვა საფეხურია, და ყველა საფეხურზე ათასი ადამიანია გამოჭიმული. მეტი-ღა გულმოდგინება და პატრონობა შეიძლება? ეს კიდევ ცოტაა: ნასწავლები კიდევ იმდენი რჩება გარედ, უადგილობის გამო...

„ხალხს განათლება აკლია: სკოლები უნდა გამრავლდეს, ჯარზე კი არა, სწავლა-განათლებაზე უნდა იხარჯებოდეს, რაც შეიძლება მეტი ფული... გაიძახიან ლიბერალები და ჭეშმარიტებას კი თვალს არიდებენ, არ უნდათ დაინახონ იგი. დიაღ, ჭეშმარიტებას, რომელიც ამისა ზემორე აღვნიშნე. ვინც ისწავლა, იმათთვისაც აღარ არის კანცელარიებში „ვაკანსია“ და ახლა ზედ-მეტი განათლებული, ბოგანო ბრბო შევქმნათ, რომელსაც გულში არსებული წესწყობილების მიმართ სიძულვილის მეტი არაფერი ექმნება?!

რაღა ვუთხრა ამ გონება-დამთხვეულს ხალხს, ღმერთმანი, არ ვიცი. ნეტავი ღვთისა ძალითა, ყველას ჩემსავით ესმოდეს საქმის ვითარება და მაშინ ვნახავდით, თუ ეს მღელვარება ხალხისა და დრტვინვა არ მოისპობოდა. რა ქნას კაცმა. ძალათი ხომ თავის კეფას ვერ გადუხსნი კაცს და თავის აზრებს ვერ ჩაულაგებ. ეს რომ შეიძლებოდეს, ქვეყანაზე ერთბაშად ბედნიერება დამყარდებოდა. რამდენიმე მეამბოხე, ქვეყნის დამღუპველი, სახელმწიფოს მტერი... მაშინ სულ სხვა იქმნება, მაშინ ჩემს აზრთან მოვა ყველა; მაშინ ველარავინ გაჰბედავს წინააღმდეგობას, ბოროტი აზრების ქადაგებას...

ხეპრე, ტეტია, ვიღაც ოჩოპინტრე გლეხი წამომდგარა, მთელ თვეობით პირდაუბანელი, იმის ხელში ნაჭერი პური ადამიანისაგან არ შეიჭმევა და გაიძახის: „ჩვენ თანასწორნი უნდა ვიყვნეთო. შენც კაცი ხარ, მეცაო, ორივე ღმერთმა გაგვაჩინა ერთი და იმავე ლაფ-ტალახიდანო“. ერთი ჰკითხეთ, როდის ვიყავით თანასწორნი, რომ ახლა ვიყვნეთ? სად თავადი, სად გლეხი. სად დამსახურებული კაცი, სად ტეტია, რომელმაც თავის სახელისა და გვარის ქაღალდზე დაწერაც არ იცის.

მამული რაც მეტი გაქვს, უნდა გამიყო, რადგანაც მეც წილი მიდევს. შენც ქართველი ხარ, მეც, დედა-მიწა კი ჩვენ მამაპაპათა სისხლით მორწყულია: „სადაც ერთი თავადი კვდებოდა, იქვე ათი და ასი გლეხი სდებდა თავსაო“. ოჰ, ღმერთო ჩემო! მოდი და ღმერთი ნუ გაჯავრდება, ნუ გაგვიწყრება?! ხელმწიფეს ვდალატობთ, ღმერთსა ვგმობთ. აი, რის ბრალია ჩვენი დამარცხება შინა და გარეთ... ნუ თუ ეს ასწავლა ბიუროკრატიამ ქვეყანას? პირ-იქით, ვგონებ, რომ ამის მთქმელს და მქადაგებელს სდევნიდა და სინსილას უქრობდა. დღეს ვინ არის ან ერთის, ან მეორის ერთგული? იგივ და იგივ ბიუროკრატია. ერთი მხოლოდ იგია პირ-ნათელი ღმერთთან და მეფესთან. რა გინდა, შე კაი კაცო, იყავი ნიბლიასავით განაპული, იცხოვრე თავმდაბლად და ვნახოთ, თუ ღმერთი არ გიშველის და შენზე ხელს აიღებს!..

მე დღეს სამსახურს გარეთა ვარ. ორმოცდაათი წელი ვემსახურე ხელმწიფეს ერთგულად და ერთხელ არ მახსოვს ჩემი უფროსისაგან „ზამეჩანიე“ მიმეღოს. რადა? მათა, რომ, თუმცა ახალგაზდა კაცი ვიყავი, სამსახური როცა დავიწყე, (ოცი წლისა) იმ თავითვე მესმოდა რით მოვიგებდი უფროსის გულს, ფეხს როგორ წავდგამდი წინ. რასაც მიბრძანებდნენ სიტყვის შეუბრუნებლად ვასრულებდი: „დაწერე“!—მზად იყო. „დაჰკა“!—მზად იყო. „დაიჭი“!—მზად იყო. ასე ამგვარად, დღეს კაცი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გახლავარ, ქვეყანა კაცს მეძახის და ხელმწიფის მოწყალება „პენსიაცა“ და ორდენებიც მაქვს.

ვაჟა-ფშაველა.

რუსეთი

30 ივლისს ბელოსტოკში ერთი სალდათი ერთ ახალგაზდა კაცს შეეკამათა, თოფი ესროლა და იქვე მოკლა. ცოტა ხნის შემდეგ იმ ადგილას ხალხი შეიკრიბა, ჯარიც მოვიდა, ერთ სახლიდან ვიღამაც **ყუმბარა ესროლა ჯარს.** ოთხი სალდათი დაიჭრა და ერთი დედაკაცი მოკვდა. ჯარმა თოფის სროლა დაიწყო. ბრძოლის ველზე 40 მოკლული და დაჭრილი დარჩა. ქალაქში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გარედ გამოსვლას ველარავინ ბედავს (რაზ.).

ან ცოტა მოზრდილი სოფელიც კი, სადაც მომღერალთა გუნდი არ მოღვაწეობდეს. ცნობილია, რომ გერმანელები მუსიკის დიდი მოტრფიალენი არიან, მაგრამ მუსიკაზე უფრო ამ ხალხს საერთო,—ხოროს, სიმღერა უყვარსთ. სწორედ ამიტომაც, საერთო სიმღერა ისე არსად არ არის განვითარებული, როგორც გერმანიაში. ამ სიმღერებში ხელოვნება, პოეზია და სიყვარული მამულისადმი ერთმანეთშია ჩაწნული.

საერთო სიმღერებმა—ხორომ—გერმანიაში ფეხი პირველად ამ საუკუნის დასაწყისში მოიკიდა, მაშინ, როდესაც ნაპოლეონისაგან შეურაცხყოფილ სამშობლოს—აყვარებდნენ ახალთაობას ერნსტ არნტი და სხვა მრავალი პოეტების პატრიოტული სიმღერები. ამ დღიდან დაწყებული, საერო სიმღერა გაამდიდრა და გააფართოვა მრავალმა პოეტმა, რომელთა ლექსებსაც გამოჩენილი თუ არა-გამოჩენილი კომპოზიტორები მუსიკას უწყობდნენ. დღეს სიმღერათა რიცხვი იმდენად მრავალია, რომ, ჩამოთვლაც კი არ შეიძლება, ამას ემატება სახალხო სიმღერებიც... არ არის იმისთანა გერმანელი ქალი თუ ვაჟი, რომ რამდენიმე სიმღერა არ იცოდეს. ხოლო ზოგი ისეთი სიმღერაა, რომ მას უსათუოდ დაიღიღინებს ხოლმე ღარიბი, თუ მდიდარი, უჩინო თუ წარჩინებული გერმანელი.

მომღერალთა საზოგადოებანი ორ საგანს ემსახურებიან: ხელოვნებასა და გართობას. საზოგადოების თითოეული წევრი ამავე დროს გუნდში მონაწილეცაა. გუნდები უფრო მამაკაცთაგან შესდგება, ქალები იშვიათად იღებენ მონაწილეობას. მომღერალთა გუნდი განსაკუთრებით ზამთრობით ვარჯიშობენ ხოლმე, ზაფხულში კი სამშობლო ქალაქსა, ან სხვა მახლობელ ქალაქებში კონცერტებსა ჰმართავენ და თავისს შრომის ნაყოფს იმკიან. ამ კონცერტებს აუარებელი ხალხი ესწრება. კონცერტები უფრო იმართება საზოგადო ბაღებში, ან ქალაქის განაპირა მინდვრებში, მუხისა ან სხვა ტყის მახლობლად. მუხის ხე, როგორც ლამაზი და მედიდური ძლიერ უყვართ გერმანელებს.

იმ ადგილას, სადაც კონცერტი უნდა გაიმართოს ხოლმე, სადღესასწაულოდ რთავენ. აქ გამოფენილია ბაირაღები, ქალაქის გერბები, ბალახგრეხილები, მუხის ტოტები და სხვა. ათასობითა და ათიათასობით შეკრებილი ხალხი მოუთმენლად მოელის კონცერტის დაწყებას. მხიარულობენ, იცინიან და სმენ ცივ-ცივ ლუდსა (რომელიც აქვე იყიდება). მომღერლები ფრაკებში არიან გამოწყობილნი. ლოტბარისათვის განსაკუთრებული კათედრაა გამართული. აგერ გამოჩნდა ლოტბარი კათედრაზე, და მომღერლებს ნიშანი მისცა. უთვალავმა ხალხმა სული განაბა. მეორე ნიშანიც და... მედიდური სიმღერა ასისა და ხანდახან ათასის კაცისაგან შემდგარ მომღერალთა გუნდისა აღმაფრთოვანებელ სიძლიერით ედება ტყესა და ველს, ხოლო ამ სიმღერაში გამოთქმული სიყვარული სამშობლოსადმი, ქველობა და მამაცობა გერმანელებისა, მათი პოეზია და სიმშვენიერე, ცეცხლის ალივით ედება მხცოვანსა და ყმაწვილს, ქალსა და კაცს, გულს უტოკებს მათ, სულს უტკბობს. მაგრამ გერმანელი თავ დაჭერილია, რაც უნდა გაიტაცოს იგი სიმღერამ, მომღერალთ არ შეაწყვეტინებს—უიდ გილო ალაგას ტაშის დაკვრით, ხოლო როცა სიმღერა თავდება აღფრთოვანებული ტაშიც მზადაა.

თუ მომღერალთა გუნდი სხვადასხვა ქალაქებიდანაა მოსული კონცერტებს უფრო დიდებული ელფერი აქვთ. ერთი ქალაქის გუნდი მეორისას აღტაცებითა და მილოცვით ეგებება და კონცერტებიც სამ-ოთხ დღეს გასტანს ხოლმე. ამ კონცერტებს უფრო შეჯიბრების, სამეტოქეო ხასიათი აქვს. სხვადასხვა ქალაქების გუნდი ცალკ-ცალკე მღერიან და, ვინც გაიმარჯვებს, ჯილდოდ ან ვერცხლის თასსა და ან გვირგვინებს დაიმსახურებს ხოლმე.

გერმანელებს საშინლად უყვართ მოგზაურობაც. იგინი მეტის-მეტი მოძრავი ხალხია და ერთის ქალაქიდან მეორემდის გასეირნება გერმანელისათვის დიდათ სასიამოვნოა. ზამთარში, როდესაც მდინარეები და ტბები გაიყინება ხოლმე, ხშირად ნახავთ ყინულზე მოცურავე ქალ-ვაჟთ. ყინულზედვე ხშირად იმართება ხოლმე სახალხო სეირნობები მუსიკითა და ჩირაღდნებით.

გაზაფხულზე ხომ გერმანელს სახლში ვერ დააყენებ, ნამეტნავად კვირა-უქმე დღეებში. შეიფოთლება თუ არა ტყე, გერმანელი ერთი სოფლიდან მეორეში გადადის. მას აღფრთოვანებს მარტო ბუნების სიმშვენიერე კი არა, თვით ეს მოგზაურობა, თვით ეს სეირნობაც. რაც უნდა დუხჭირი სამუშაო ჰქონდეს გერმანელს, იგი მაინც აღტაცებით ეგებება ბუნების სიდიადეს და შეუძლია კიდეც მთელი საათობით იჯდეს რომელიმე მაღლობზე და იქიდან სტკბებოდეს მიდამოს მზერითა.

შინაურ და ახლო-მახლო სოფლებში მოგზაურობის გარდა, გერმანელი ხშირად შორეულ მოგზაურობასაც არ ერიდება. იგი რამდენიმე დღით გაუდგება ხოლმე გზას, მიდის პირ-იქითა მთებში, მიდის ფეხით, ქვეითად, რომ უფრო სავსებით დასტკბეს ბუნების სიმშვენიერით.

გერმანულ ლიტერატურაში ბევრია ისეთი ლექსი, რომელიც იწვევს გერმანელებს: მიატოვონ ჰაერ-დახშული ქალაქები და ბუნების მკერდზე მიეცნენ განცხრომასა.

ფეხით მოგზაურობასთან ერთად გერმანელებს ძალიან უყვართ აგრეთვე სხეულის სავარჯიშო გართობა-თამაშობანი: გიმნასტიკა, წყალში ცურაობა, ნავებით სეირნობა, კეჭნაობა და სხვა.

გიმნასტიკას ყველა სასწავლებლებში ასწავლიან. ბავშვები—ვაჟი თუ ქალი—დიდის ხალისით ეკიდებიან ამ ვარჯიშობათ და ხშირად დაჰაბუკებამდისინაც არა სტოვებენ. ზამთარში გიმნასტიკას ყმაწვილებს დიდ-დარბაზებში ასწავლიან, ზაფხულში კი მოედანზე, სადაც ყოველგვარი საგიმნასტიკო ხელსაწყო მოიპოვება.

თითოეულ გიმნასტს უნდა ჰქონდეს შესაფერი კოსტიუმიც: თხელი ტილოს მოკლე კურტკა და ვიწრო შარვალი. სავარჯიშო მოედანზე ვარჯიშობის წესიერ საწარმოებლად გიმნასტები დაყოფილნი არიან პატარ-პატარა ჯგუფებად, (10—12 კაცი) თითოეულ ჯგუფს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი და აქვს თავისი ნომერი. როგორც სასწავლებელში კედელზე გამოკიდულია ხოლმე გაკვეთილების სია, ისე აქ, მოედნის შესავალში, გაკრულია ვარჯიშობათა ნუსხა. თითოეული გიმნასტი, მოედანზე გამოსვლამდე, მოვალეა გაიგოს რომელი ნომრის ვარჯიშობაა დანიშნული მისის ჯგუფისათვის.

რასაკვირველია გიმნასტიური ვარჯიშობა ძრიელ სასიამოვნოა თითოელის გიმასტისათვის, მაგრამ იგი უფრო დიდ სიამოვნებას მაშინა გრძნობს, როდესაც შეჯიბრება გაიმართება ხოლმე. ეს სწორედ დიდებული დღესასწაულია. სავარჯიშო მოედანი მორთულია ხოლმე ბაირაღებითა, ყვავილებითა და გერბებით. ახლაც, როგორც საერთო სიმღერების დროს, ხალხი ათასობით იკრიბება, ვინაიდან დიდი გართობა მოელის. გიმნასტები ქალაქის ერთ ადგილას იკრიბებიან, რიზმდებიან და მუსიკით მოედნისაკენ მიდიან. აქ მათ ხალხი აღტაცებით ეგებება, გაისმის განუწყვეტელი სიმღერა, მუსიკა, და ისმევა აუარებელი ლუდი.

ასეთ სადღესასწაულო შეჯიბრებას მართვენ ხოლმე საზოგადოებანი: მოცურავეთა, მენავეთა და სხვა.

გერმანიის თითოეულ ქალაქში, სადაც კი ტბა ან მდინარე არის, არსებობს ასეთი საზოგადოებანი. ამ საზოგადოებათ მდინარის პირად აქვთ მშვენიერი და კოხტა შენობები და რამდენიმე ნავი, რომლებითაც ქალები და კაცები ცურაობენ ხოლმე და ნიჩბის მოსმით ავარჯიშებენ თავიანთ სხეულს. ზღვის პირად ხომ მეტის მეტი მდიდარი კლუბები აქვთ. აქვე აქვთ პატარ-პატარა შხუნები და მსურველნი ზღვაში კარგა შორს მანძილზე მიდიან.

გერმანელთა ყველა ეს გართობა ამტკიცებს, რომ გერმანელებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ძველ ბერძენთა თქმულება; „საღი სული—საღ სხეულშიაო“.

არტურ ლეისტი.

✦ სასულიერო უწყებამ გადასწყვიტა რუსეთში **ახალი სასულიერო აკადემია** დააარსოს. აკადემიას, როგორც ამბობენ, ან ვილნოში გახსნიან, ან ნიჟნი-ნოვგოროდში (რ. ვ.).

✦ ვარშავის მეეტლეებმა კრება გამართეს და **დაადგინეს**: ამიერიდან საზოგადოება თქვენობით უნდა გველაპარაკებოდეს; მეეტლეს ნება არა აქვს დადგენილ ფასზე მეტი მოითხოვოს, გაილანძღოს, ხეპრულად, მკვახედ მოექცეს ვისმე და სხ. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, ამხანაგების წრიდან გაძევებულ იქმნება (რ. ს.).

✦ იმ კომისიამ, რომელსაც ბალტიის მხარეში არეულობის მიზეზების გამოკვლევა ჰქონდა დავალებული, ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა ამ მხარეს გაფრთხილება გამოუცხადოთ და, თუ 8 დღის შემდეგ ხალხი არ დაწყნარდა, **გენერალ-გუბერნატორობა** შემოვიღოთო (რ. ვ.).

✦ 5%-იანი შინაური სესხი, რომელიც რუსეთის მთავრობამ ამ ორიოდე თვის წინად გამოუშვა, ჯერ სავსებით **არ გასაღებულა**. სახელმწიფო ბანკებში 32 მილიონ მანათის ობლიგაციები აწყვია გაუსაღებელი (რ. ვ.).

✦ უკანასკნელ დროს რუსეთიდან **ძალიან იმატა უცხოეთში გადასახლებამ**. 1904 წელს ჰამბურგი გაუვლია 57,989 კაცს, რუსეთის ქვეშევრდომს, 10,866 კაცით მეტი, ვიდრე 1903 წელს. ბრემენზე გაუვლია 49,719 კაცს, 10,216 კაცით მეტი, ვიდრე 1903 წ. მარტო ამ ორ ქალაქში გაუვლია 21000 კაცით მეტს, ვიდრე 1903 წ. წრეულს, 1905 წელს, ხომ ამ გადასახლება-გაქცევამ ერთი ხუთად იმატა (რ.).

✦ უკანასკნელ დროს, ფინლანდიასა და რუსეთის საზღვარზე მეტის-მეტად დაწვრილებით **ჩხრეკავენ** და სინჯავენ იმ საქონელს, რომელიც ფინლანდიიდან რუსეთში შემოდის (რ.).

✦ ამ დღეებში გარდაიცვალა მთელ ქვეყანაზე და რუსეთში განთქმული ფილიპე მკითხავი, რომელიც ევროპის **ზოგიერთ გვირგვინოსნის ცხოვრებაში** დიდ როლს თამაშობდა. ფილიპეს სახელი გაუვარდა, შესანიშნავი მკითხავია და ნამდვილი წინასწარმეტყველიაო. ფილიპე მკითხავი რუსეთშიაც იყო და იწინასწარმეტყველა, რუსეთი ერთ სახელმწიფოს ეომება და დაამარცხებსო. მაგრამ ფილიპეს სახელი გაუტყდა და შერცხვენილი რუსეთიდან გაიქცა (რ.).

✦ ამჟამად **ლოძში დაბანაკებულია** 8 პოლკი ცხენოსანი და ქვეითა ჯარი, არტილერია და რამდენიმე ტყვიის მფრქვეველი როტა (რ.).

მე-68 დივიზიის უფროსმა, გენერალმა სენიცკიმ მადლობა გამოუცხადა ოთხ სალდათს და ხუთ ხუთი მანათით დააჯილდოვა იმისთვის, რომ ამ სალდათებმა **დაიჭირეს აგიტატორი** გეიკე, რომელსაც სალდათების გადაბირება უნდოდა (რ.).

✦ მაკარიევის საერობო გამგეობის უფროსმა იკონიკოვმა **შემდეგი წერილი გაუგზავნა** „პატრიოტულ“ გაზეთის „რუსკოე დელოს“ რედაქტორს, კაპიტანს შარაპოვს: რამდენიმე თვეა, რაც მე იძულებული ვარ ვისარგებლო თქვენის არამკითხე გულკეთილობით: მე უფასოდ მომდის თქვენი გაზეთი. პროტესტს არ ვაცხადებ ამის წინააღმდეგ, რადგან ვიცი, რომ თქვენ გაზეთს მკითხველი არა ჰყავს და თქვენც იძულებული ხართ გამვლელსა და გამომვლელს უფასოდ დაურიგოთ თქვენი გაზეთი. მაგრამ მე მაინც საჭიროდ მიმაჩნია შეგატყობინოთ, რომ მე თქვენს, უკაცრავად პასუხია, ნაწერებს არ ვკითხულობ და სხვა საჭიროებას ვახმარებ“.

✦ გენერალი დრაგომიროვი **სიკვდილის პირზეა** მიმდგარი (რ. ვ.).

✦ „რუს. ტურკ.“-ში დაბეჭდილია: ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო ოფიციალური წერილი, რომელიც უარჰყოფდა ჩვენ ცნობას იმის შესახებ, რომ ადგილობრივ პოლკიდან **7 სალდათი გაიპარა**. ჩვენ მაინც ხელმეორედ ვაცხადებთ და ვამტკიცებთ, რომ ზემოხსენებულ პოლკიდან სალდათები გაიპარნენ და ადმინისტრაციამაც ბრძანება გასცა ამ სალდათების მოძებნისა (ს. ო.).

კორესპონდენცია

—

ქ. თელავი, 6 აგვისტო. თელავის ქუჩები ისეა მოუწყობელი, რომ საკმარისია, წვიმა რამდენიმე წამი მოდიოდეს, და თელავის გზები გაუვალი გახდება. თელავის რიყე ხომ ყველას ყურადღებას იქცევს. ერთად-ერთი ხიდი, რომელიც ახალ თელავს-ძველთან აერთებდა შარშან აქაურმა „გალავამ“ საშლევინა, ახალი უნდა გავაკეთოთო. ძველიც აშალეს, არც ახალს აკეთებენ და თელავის მცხოვრებნი-კი დიდ გაჭირვებას გრძნობენ. რაკი გაავდარდება ხოლმე, ველარავინ გადადის ამ ხევზე.

თელავის თვითმმართველობას, მამასახლისის მეთაურობით, ტეხნიკოსისა არა სწამს-რა და თავის ნებაზე მოქმედობს. თავის ნებითვე გააშენა თელავის ხევში საქალაქო დუქნები, რომელთა წყალობით შევიწროვდა წყლის კალაპოტი, თან-და-თან მაღლდება, ნაპირებს უთანასწორდება, წყალი გადადის აქეთ-იქით, მძლავრად ეშვება და ქვემო მხარეს, რასაც ხვდება, სულ აოხრებს: სარდაფებსა მარხავს და დუქნებს წყლით ავსებს. ერთი სიტყვით, თელავის მამებმა დიდი ზარალი მოუტანეს ამ უბნის მცხოვრებთ.

თელავში ვერც რიგიან გამომცხვარ პურს იშოვნით. აქაური მეპურეები ისეთ მწარე და ცომ პურსა ჰყიდიან, რომ არ იჭმევა. ამ გარემოებას მაინც მიაქციონ თავისი განათლებული ყურადღება ჩვენმა „მამებმა“.

ინკოგნიტო.

—

სოფელი კვათანა (სენაკის მაზრა). იმ დროს, როდესაც ხალხის უმრავლესობამ გამოიღვიძა, და ცდილობს ახლო მომავალში ბოლო მოუღოს ადამიანურ ღირსების და პიროვნების უზნეო ჩაგვრას და ფეხქვეშ თელვას, ჩვენდა სამწუხაროდ, გურია-სამეგრელოში თავი იჩინეს სინდისსა და პატიოსნებაზე ხელაღებულმა რაინდებმა. ისე დღე არ გავა, რომ არ გაიგონო და ან არ წაიკითხო შემდეგ შემაძრწუნებელ ამბებს: ამა და ამ ადგილს უცნობი თუ ნაცნობი კაცები თავს დაესხნენ ეტლებით, თუ ფეხით მიმავალ მგზავრებს, წაართვეს, გაჰკვლიჯეს, რაც-რამ ებადათ, მოჰკლეს, დასჭრეს და გაიქცნენ. ამას დაუმატეთ ის სიველურე და სიმხეცე, რასაც იჩენენ გურია-სამეგრელოში ზოგიერთი ვაჟბატონები და არ შეიძლება ძალაუნებურად არ დაგაფიქროთ ამ სამწუხარო მოვლენამ. მაგალ., თქვენი ქალიშვილი მოსწონს რომელსამე თავზე ხელაღებულს. არც თქვენ და არც თქვენს ასულს არ სურთ ამ ვაჟბატონთან, რომელსაც შეიძლება არც კი იცნობდეთ, არამც თუ დამოყვრება, არამედ არავითარი საქმის დაჭერა და ამიტომ ზრდილობიანად რაიმე მიზეზით იშორებთ თავიდან. მაგრამ გაივლის ცოტახანი და იგი თავის ამხანაგით გეხსმით თავს, გტაცებთ ქალს და, თუ მოახერხა, იწერს ძალად მაზე ჯვარს, ან აუპატიურებს. სწორედ ასეთი ამბავი მოხდა სოფელ კვათახაში, წარსულ თვის 31, ივლისს. ამ დღეს, საღამოს, მეზობლიდან მიდიოდა შინ თეიმურაზ მასხულია. თან მოჰყვებოდა თავისი ცოლი და გასათხოვარი ქალიშვილი. როდესაც ისინი დაუახლოვდნენ თავის სახლს, იგრიალა ფაიტონმა, საიდანაც გადმოხტა ოთხი შეიარაღებული რაინდი და მისცვივდნენ გასათხოვარ ქალიშვილს და ფაიტონში ძალით ჩასვეს და გიტაცება დაუპირეს. ქალის კივილითა და განსაცდელით გამწარებული მამა გადმოხტა შეებრძოლა ოთხს პირუტყვს ავაზაკს და იმდენი ჰქმნა, რომ, ვიდრე ყვირილზე და სროლაზე მეზობლები მოეშველებოდნენ, არავის დაანება თავისი სიომის შვილი. მაგრამ ავაზაკებმა ნახეს-რა, რომ მათ განზრახვას ფრთები შეეკვეცებოდა და ქალს ვეღარ წაიყვანდნენ, აღარ დაინდეს გმირი მამა, დაახალეს მას რევოლვერები, მოჰკლეს და გაიქცნენ. ქალი გადარჩა გაბაიბრუებას, მაგრამ მეტად მძიმად დაუჯდა,—დაობლდა იგი და მისი პაწია ძმება. ამასთან სოფელს მოაკლდა ისეთი შეგნებული და ახალი მოძრაობით აღფრთოვანებული პირი, როგორიც იყო თეიმურაზი. მიცვალებული დაასაფლავეს 4 ამ თვეს. დაესწრო სამი ათასამდე სხვადასხვა სოფლებიდან მოსული ქალი და კაცი. წარმოითქვა დროის შესაფერი სიტყვები, რომლებმაც აღნიშნეს სხვათა შორის ეს სამწუხარო მოვლენა, რომლის მსხვერპლიც გახდა თეიმურაზ მასხულია და მოუწოდეს საზოგადოებას, რომ მედგრად და უშიშრად წავიდეს წინ უკვე არჩეულ გზაზე, და ისეთ ხალხის მუწუკებს კი, რომელთაც ასეთ დღებულ დროს მოუცლიათ ქურდ-ბაცაცობისა და ავაზაკობისათვის ღირსეული სასჯელი მიაგოს. ამის შემდეგ მოვიდა მთავრობის გამომძიებელი. ხალხმა გამოუცხადა: თვით ჩვენ გავასამართლებთ ჩვენს უღირსს წევრებს, თქვენ თავს ნუ იწუხებთო. მართლადაც ამ უღირს პირების გასამართლება უნდა მოხდეს ექვსს ან შვიდს ამ თვეს.

ონ—ელიძე.

—

ძველი-სენაკი (სამეგრელო), 3 აგვისტო. როგორც უკვე მოგეხსენებათ, მარიამობისთვის პირველ რიცხვებიდან, ოცდა ხუთამდე ძველ-სენაკში ყოველ წლობით ბაზრობა იმართება ხოლმე. ბაზრობა მთელს საქართველოში განთქმულია. რომელი ჯურის ხალხი გინდათ, რომ აქ სავაჭროდ არ მოდიოდეს! ხოლო თვით ძველი სენაკი-კი ამ ბაზრობით სულდგმულობს. წელს, რაკი აქეთ სამხედრო წესები იყო გამოცხადებული, ადგილობრივი ადმინისტრაცია ბაზრობის გამართვის ნებას არ იძლეოდა. ამ ამბით შეწუხებულმა აქაურმა მოვაჭრეებმა გაჰგზავნეს დეპუტაცია და ბ. გუბერნატორს თხოვნა გაუგზავნეს ნებართვის ასაღებად. ბ. გუბერნატორმა ნება დართო ბაზრობის გამართვისა. ახლა აქ, ჩვეულებრივად, კარვები გააკეთეს და ბაზრობაც გახსნეს. ჯერ-ჯერობით გარეშე მოვაჭრეები არ მოსულან, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ძველ-სენაკს ბევრი ესტუმრება.

აქამდე მიწის მოსავალს ძალიან ცუდი პირი უჩანდა, რადგანაც ივნისის ხშირმა წვიმებმა ძლიერ ჯეჯილი ააოხრა. ივლისმა გვალვებმა და ზომიერი წვიმებმა დაატკბო, რამაც აღდგენილ ჯეჯილს კვლავ დაუბრუნა სიცოცხლე. თუ აგვისტომაც ხელი შეუწყო, იმედია, მოსავალი კარგი გვექნება.

სიმინდის ფასი აქეთ თან-და-თან მატულობს.

ტელეფონი.

მცირე შენიშვნა.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ-ნის კორხანიდის რუსული სახელმძღვანელოს განხილვაში, რომელიც დაბეჭდილია „ივერიის ბიბლიოთეკის“ მესამე ნომერში, ავტორს, ბ-ნს ფურაძეს, ჩემ შესახებ მოსვლია ერთი მცირე შეცდომა, რომელიც არ შემიძლია დავტოვო შეუნიშნავად. პაწია ისტორია უკეთესად გამოარკვევს ამ შეცდომას.

მზრუნველის იანოვსკის გეგმით, არითმეტიკა ისწავლებოდა ორის წლის განმავლობაში დედა-ენაზე და მესამე წელიწადს კი რუსულად. როცა ბ-ნმა ლევიცკიმ გამოსცა თავისი სახელმძღვანელო „კურსი“ 1890 წელს, პირველსავე ნაწილში, რომელიც დანიშნული იყო პირველი წლისათვის, ჩაურთო ბოლომდე არითმეტიკული ამოცანები და დაავალა მასწავლებლებს არითმეტიკა თავიდანვე რუსულად ესწავლებინათ. სამწუხაროდ, ბევრი მასწავლებელი დაემორჩილა ამ უკანონო მოთხოვნილებას და არითმეტიკის სწავლება რუსულ ენაზე თავიდანვე შემოიღო. ამ გარემოებამ იძულებული გაგვხადა ჩვენს „Русское Слово“-ს მესამე გამოცემაში, რომელიც დაიბეჭდა ცამეტის წლის წინად, 1892 წელს (პირველი გამოცემა დაისტამბა 1888 წელს), შეგვეტანა არითმეტიკის რუსულად სწავლებასა, მოგვეგონებინა მასწავლებლებისათვის ოფიციალურის გეგმის მოთხოვნილება და გვეჩვენა, რომ კანონიერი ვადიდგან მაინც დაეწყოთ და დაეცვათ ამის შემდეგაც თანდათანობა: ჯერ ევარჯიშებინათ ბავშვები განყენებულ ამოცანების (отвлеченныя) დასკვნაში, რომლებიც გრამატიკული ფორმით უფრო მარტივნი არიან, და მერმე გადასულიყვნენ სახელიან (именованныя) ამოცანებზე, ფორმით ბევრით უფრო რთულზე.

ბ-ნმა ფურაძემ თავის ბიბლიოგრაფიულ წერილში აღნიშნა, რომ ბ-ნი კორხანიდი თავის „Живое Слово“-ს მესამე გამოცემაში, რომელიც დანიშნულია ქართულ სკოლებისთვისაც, ითხოვს არითმეტიკის სწავლებას რუსულ ენაზე უფრო ადრე, ვიდრე დეკანოზი ვოსტორგოვის გეგმა, გოგებაშვილი კი ამ გეგმის ვადაზე თხოულობსო. გამოსარკვევად ასეთი უნდა! როცა ცამეტის წლის წინად ჩვენ ვსწერდით „Русское Слово“-ს მესამე გამოცემის წინასიტყვაობასა, მაშინ არამც თუ სამოსწავლო გეგმა დეკ. ვოსტორგოვისა არ არსებობდა, არამედ თვითონ ამ სახელოვანის გვამის ჭაჭანებაც არსად იყო ამიერკავკასიაში. იგი მაშინ გახლდათ უბრალო სოფლის მღვდელი სტავროპოლის გუბერნიაში და სიზმრადაც ვერ მოეჩვენებოდა, რომ რამდენისამე წლის შემდეგ იგი უცებ გახდებოდა მთელის საქართველოს მმართველად. ეს შეცდომა ბ-ნს ილია ფურაძეს იმის გამო მოსვლია, რომ ყურადღება არ მიუქცევია, რომელ გამოცემის წინასიტყვაობაში არის ნათქვამი, რომ არითმეტიკა რუსულ ენაზე ოფიციალურის გეგმის მიერ დანიშნულს დროზე არ უნდა იწყებოდესო.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ჩვენ ყოველთვის ვქადაგებდით სიტყვით და ბეჭდვით, ქართულად და რუსულად, საზოგადოების და მთავრობის წინაშე, რომ სწავლება სახალხო სკოლებში ყველა საგნებისა თავიდგან ბოლომდინ უნდა მიდიოდეს დედა-ენაზე, და რუსული ენა კი უნდა ისწავლებოდეს, როგორც კერძო საგანი, გარდა წერა-კითხვის სკოლებისა, სადაც სახელმწიფო ენას ადგილი არ უნდა ჰქონდესმეთქი. კერძოდ, დეკანოზის ვოსტორგოვის ფრიად მავნე მიმართულებას ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით იმავ თავიდგან მთელის ჩვენის ძალით და ბევრჯელ აღვიმაღლეთ ხმა მისი მიმართულების და სამოსწავლო გეგმის წინააღმდეგ, როგორც ქართულ პრესაში, ისე რუსულში. ამ ჩვენმა სისტემატიურმა წინააღმდეგობამ აქამდინ მიიყვანა მისი მტრობა ჩვენდამი, რომ თავისს უკანასკნელ სამოსწავლო გეგმაში სრულად გააუქმა სამივე ჩვენი სახელმძღვანელო: „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და ,,Русское Слово''. მაგრამ, ბედად, დროთა წყლმა დატრიალებამ თვითან იგი გააქარწყლა, გვონებ, სრულიად, და მისი სამოსწავლო გეგმაც მისცა წყალს მდინარეს...

იაკობ გოგებაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

—

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ ჩვენ წერილს.

ჩვენ სოფ. ლდლენის მცხოვრებნი: ვეფხვაძენი, შარიკაძენი, მაღრაძენი, ცხვედაძენი და ბურჯახაძენი შევიკრიბენით და ერთ ხმად დავადგინეთ: აღარ ვიდღესასწაულოთ მარიობა, 15 აგვისტო. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, სოფლის სასარგებლოდ გადახდება 50 მანათი. ვაცხადებთ ამ დადგენილებას, ჩვენის ნაცნობ მოყვასთა საყურადღებოდ.

ს. ლდლენის მცხოვრებნი: **ვეფხაძენი, შარიკაძენი, მაღრაძენი, ცხვედაძენი და ბურჯანაძენი.**

6 აგვისტო 1905 წ.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

9 აგვისტო.

პორტსმუტი, 8 აგვისტო. ვიტტე უარს ამბობს, ვითომ რუზველტს წინადადება მიეცეს, უთანხმოებანი სამედიატორო სამართალს გადაეციოთ. ოქმებში შეტანილი საბუთების ქაღალდები შემდეგია: სახალინის დათმობას იაპონელები კუნძულის დაჭერის ერთგვარ უფლებაზე ამყარებენ. რუსები ამტკიცებენ, იაპონელებმა 1850 წლამდე სახალინზე თავიანთ უფლებების შესახებ არაფერი განუცხადებიათო, 1855 წლის ხელშეკრულობით რუსეთის სუვერენიტეტი იცნესო. სამხედრო ხარჯის მოთხოვნილებას იაპონელები რუსეთის აგრესიულ მოქმედებაზე ამყარებენ, რომელმაც გვაიძულა, თავი დაგვეცვაო. ომში გამარჯვება იაპონიას ნებას აძლევს მოითხოვოს ხარჯის გადახდა. რუსეთი თავისთავს დამარცხებულად არ სთვლის და კონტრიბუციის გადახდაზე უარს ამბობს. მე-10 მუხლის შესახებ რუსეთი ამტკიცებს, რომ იარაღაყრილ გემების დათმობა საერთაშორისო უფლებებს არღვევსო. იაპონიის აზრით, შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის სამხედრო ძალების შეზღუდვა საჭიროა საფუძვლიან მშვიდობიანობისთვისო. რუსეთი ამბობს, ჩვენ აზრად არა გვაქვს იაპონიის საზღვაო მდგომარეობას ხელი შეუშალოთო. გაზეთების სიტყვით, იაპონელებს იმედი არა აქვთ, რომ მიკადომ პირობების რომელიმე მუხლი დასთმოს.

სიტიაზა, 8 აგვისტო. ერთი ჩვენი რაზმი მონხუაჩის გზის პირას ჩასაფრდა. დილით ამ ადგილას მივიდა იაპონელთა საჯარაჯო რაზმი. ჩვენებმა თოფები დაუშინეს. მოკლულია 3 იაპონელი. ჩვენ მოგვიკლეს ერთი აფიცერი და ერთი კაზაკი. სოფელ იანცისლოს ახლო ჩვენს ერთს რაზმს შეტაკება ჰქონდა ხუნხუზების წინამძღოლ იმბატას ბრბოსთან. მოკლულია იმბატი, ორი იაპონელი და 42 ხუნხუზი, ოთხი ჯარისკაცი და ერთი აფიცერი.

პორტსმუტი, 8 აგვისტო. რუსეთის რწმუნებულებმა მიიღეს დეპეშა გენერალ ლინევიჩისა, სადაც ისა სთხოვს, ზავს ნუ ჩამოაგდებთო.

პორტსმუტი, 8 აგვისტო. რუსის მისსიის ერთმა წევრმა სთქვა: ჩვენ დიდი მადლობელნი ვართ რუზველტისა, თუმცა საქმის ვითარებას ეს ვერ შესცვლისო. იაპონელებს ფინანსები შემოაკლდათ და კონტრიბუციას იმიტომ თხოულობენო, ჩვენც იმიტომ უარს ვეუბნებითო.

ჩიკაგო, 8 აგვისტო. ჰფიქრობენ, სახალინი შეერთებულ შტატების პროტექტორობის ქვეშ დააყენონ. ამ საკითხის შესახებ რუზველტსა, როზენსა და კანეკოს თათბირი ჰქონდათო.

ნიუ იორკი, 8 აგვისტო. რუზველტისა და კანეკოს თათბირმა 45 წუთი გასტანა. კანეკომ სთქვა, ეს სამშაბათს გამოირკვევაო.

ნიუ იორკი, 8 აგვისტო. ვიტტემ ერთს ჟურნალისტს უთხრა, ზავის საქმეში არავინ არ ჩაერევაო.

ოისტერი, 8 აგვისტო. ნამდვილ ცნობებით სჩანს, რომ რუზველტი მიკადოს შეეკითხა და ამჟამად დეპეშას პეტერბურგიდან ელისო.

ლონდონი. არავითარი საბუთი არ არის იმის დამამტკიცებელი, ვითომც ინგლისი ურჩევდეს იაპონიას ან ზავი შეჰკარ ან ომი განაგრძეო. რაც გაზეთებში იბეჭდება, სულ სპეკულიაციით არის გამოწვეული. მთავრობის წევრნი და ელჩები ლონდონში არ არიან, როგორც ყოველთვის აგვისტოში, ხოლო მცოდნე კაცები ამბობენ, მთავრობას მორიდებით უჭირავს თავი, რომ თავის მოკავშირის წაქეზება არ დასწამონო. იაპონიის ერთს უმთავრეს წარმომადგენელს უთქვამს პორტსმუტში, თუ რამ გავლენა შეიძლება, ისევ პეტერბურგს უნდა მიმართონო და არა ტოკიოსო. ინგლისი არ წააქეზებს იაპონიას, რადგან იმან უკვე მიიღო, რაც უნდოდა, და უმთავრესად მანჯურიიდან ჯარის გაყვანა და საერთაშორისო ვაჭრობისათვის კარის გაღება.

ოდესა, 8 აგვისტო. საავადმყოფო გემით „კოსტრომა“-თი აქ მოვიდა ადმირალი ენკვისტი.

ეკატერინბურგი, 8 აგვისტო. გაძარცვეს ორი მაღაზია. წაიღეს 40,000 მანათად ღირებული ძვირფასი ნივთები.

პეტერბურგი, 8 აგვისტო. უმაღლესი ბრძანებით 5 აგვისტოდან, დაარსდა ახალი თანამდებობა გზათა მინისტრის ამხანაგისა. ამ თანამდებობაზე დაინიშნა ივანიცკი.

პეტერბურგი, 8 აგვისტო. სახალხო განათლების სამინისტროზე მიწერილი ბარონი რაუშ-ტრაუბენბერგი დაინიშნა ტფილისის გუბერნატორად.

სოფია, 8 აგვისტო. გუშინდელ არჩევნებზე ყველგან მთავრობის კანდიდატებმა გაიმარჯვეს, თუმცა ოპოზიცია ენერგიულად მოქმედობდა.

პეტერბურგი, 8 აგვისტო. გაზეთები იუწყებიან, რომ საზოგადო რიცხვი იმ პირებისა, რომელთაც უფლება აქვთ სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში, 9,500 კაცამდეა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნანდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი.	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა.	20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები: შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 43 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.

და სხვა ჟოველგვარი წიგნები.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.
სოსიკო მერკვილაძე. (20—16)

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისთვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა **ლექსები** და **პოემები** დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გავ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—26)

იაფ ფასად იყიდება

მიწის ნაჭრები. ქ. ტფილისში ზომით თითო 100—100 ძდე ოთხ-კუთხი საჟ. მიწებში პატარ პატარა შენობებიც არის.
იკითხეთ შემდეგის ადრესით:
Г. Тифлисъ, 2 уч. Тхинвальскій пер; № 51,
кр. ЭВ. Джаджанова.

ვ. შექსპირის თხზულებანი — ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნი
„რიჩარდ“, „მაკბეტ“, „კორიოლან“, „იულიოს კეისარი“, ,,ანტონიოს და კლეოპატრა'' და „ოტელო“
იყიდება ცალკე წიგნაკებად **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.**
იქვე იყიდება გრიბოედოვის ცნობილი კომედია ,,ვაი ჭკუისაგან'', დ. განდეგილის თარგმანი, დრამატიულ საზოგადოების გამოცემა.

დაარსდა ახალი საწყობი კახურის ღვინისა
შემდეგის ფირმით:
კახეთის მევენახეთა ამხანაგობა
„ძმობა“
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობრჟანსკისა.
ტელეფონი № 1036.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 9 Августа 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5